საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)

წლიური ანგარიში 2023

სარჩევი

2023 წლის წლიური ანგარიში....2
წინასიტყვაობა....2
გეოგრაფიული დაფარვა....4
მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები....4
ორგანიზაციის სტრუქტურა....5
ჩვენი გუნდი....5
წლიური შემოსავლები....6
მოკლე ინფორმაცია 2023 წელს მიმდინარე აქტივობების შესახებ....6
პუბლიკაციები....8
ასოცირების ხელშეკრულებაში ასახული თემების ამსახველი განმარტებითი ანიმაციები....8
ღონისძიებები....8
მიმდინარე და განხორციელებული პროექტები....9
პროგრამების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან....10
მიმართულებები....12
თემის განვითარების პროგრამა....13
საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება....26
სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა....26
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა....32
სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა....40
გავლენის ფონდი აქციო....46
პროექტი: უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის....50
მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა....55
კარგი მმართველობის ხელშეწყობა....59
ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა....62
კონტაქტი:....65

ფონდი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“

სამოქალაქო ორგანიზაცია

2023 წლის წლიური ანგარიში

28 წელი თქვენთვის და თქვენთან ერთად!

CSRDG დაარსდა 1995 წლის ივლისში, იმ დროს, როდესაც ქვეყანაში რთული პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა.

1995 წელს ქართული საზოგადოებისთვის პრაქტიკულად უცნობი იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცნება, თუმცა თვლიდნენ, რომ სწორედ ამ ფორმით არის შესაძლებელი მოსახლეობისთვის სასარგებლო საქმიანობის გაწევა. ამ იდეით, 1995 წლის ივლისში, დავაფუძნეთ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG). 27 წელია, ჩვენი გუნდი ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომელიც პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე მთელს საზოგადოებას.
დაარსების დღიდან, ჩავატარეთ მრავალი კვლევა, ხელი შევუწყვეთ მრავალ საკანონმდებლო ინიციატივას, სათემო ორგანიზაციების ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოს რეგიონებში, მხარი დავუჭირეთ სოციალური საწარმოებისა და სოციალური სერვისების განვითარებას, გავხდით პიონერი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და ხელი შევუწყვეთ მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

წინასიტყვაობა

ჩვენი ღირებულებებისადმი დიდი ერთგულებით არის განპირობებული, რომ სამოქალაქო სექტორში 27 წლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ ჩამოვაყალიბეთ, როგორც ძლიერი კვლევითი ინსტიტუტი, სანდო პარტნიორი და საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაცია.

ჩვენთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2023 წლის საქმიანობის მიმოხილვა. მოცემულ დოკუმენტში ასახულია ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიში, რომელიც ყოველწლიურად წარედგინება საზოგადოებას. ჩვენი პასუხისმგებლობაა დაინტერესებული მხარეების წინაშე ვიყოთ გამჭვირვალე და გაგაცნოთ ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ განვითარებაში ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან შეტანილი დადებითი წვლილი.

წინამდებარე ინტეგრირებულ ანგარიშში გაერთიანებულია ორგანიზაციის წლიური პროგრამული ანგარიში და გლობალური შეთანხმების ანგარიში, მიღწეული შედეგების შესახებ (Communication on Engagement).

2007 წლიდან ჩვენი ორგანიზაცია მიერთებულია გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ინიციატივას, ხოლო 2010 წლიდან CSRDG არის ”ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (Global Reporting Initiative /GRI) ორგანიზაციული მხარდამჭერი.

GRI | COMMUNITY MEMBER 2023

„ანგარიშგების გლობალური ინიციატივა” წარმოადგენს საერთაშორისო ქსელურ ორგანიზაციას, რომლის მიზანია მდგრადი განვითარების ანგარიშგების უნივერსალური ფორმატის შემუშავება და მუდმივი გაუმჯობესება.

UN GLOBAL COMPACT COMMUNICATION ON PROGRESS This is our **Communication on Progress** in implementing the principles of the **United Nations Global Compact** and supporting broader UN goals. We welcome feedback on its contents.	გაეროს გლობალური შეთანხმება კორპორაციული მოქალაქეობის ყველაზე მასშტაბურ გლობალურ ინიციატივას წარმოადგენს. ის ეფუძნება ორგანიზაციათა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას განახორციელონ მდგრადი განვითარების უნივერსალური პრინციპები და მხარი დაუჭირონ გაეროს მიზნების განხორციელებას.

ამ ანგარიშის ფარგლებში ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს მუდმივ მხარდაჭერას გლობალური შეთანხმების ათი უნივერსალური პრინციპის მიმართ, ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და ანტიკორუფციული სფეროებში.

ასევე, ვადასტურებთ მზაობას ვითანამშრომლოთ გლობალურ შეთანხმებასთან და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მივიღოთ მის აქტივობებსა და ღონისძიებებში, ჩავერთოთ პარტნიორულ პროექტებში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით. საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში განვიხილავთ გლობალური შეთანხმების ინიციატივაში ჩართული სხვა კომპანიების წლიურ ანგარიშებს (Communications on Progress).

2023 წელს ორგანიზაცია ძირითადი პროგრამის ფარგლებში მუშაობდა სამი მსხვილი მიმართულებით: სამოქალაქო სექტორის განვითარება, ღია მმართველობის ხელშეწყობა, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა. ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა: თემის განვითარება, სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარების ინიციატივა, კარგი მმართველობა, ევროინტეგრაციის ხელშეწყობა, სოციალური

მეწარმეობის, კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის და სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამები. ამ პროგრამების ფარგლებში 2023 წელს CSRDG-მ განახორციელა 12 მიმდინარე პროექტი, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე ანგარიშში.

და ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო CSRDG-ის პერსონალს, ჩვენს პარტნიორებსა და მხარდამჭერებს, დაინტერესებულ მხარეებს, რომელთა ძალისხმევამ მოგვცა საშუალება განვახორციელოთ ანგარიშში აღწერილი აქტივობები და მივაღწიოთ დასახულ მიზნებს. განსაკუთრებული მადლობა ორგანიზაციის თითოეულ თანამშრომელს, ვინც არ დაიშურა ენერგია, უპასუხა ამდენ გამოწვევას და წარმატებით, ახალი უნარებით, ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილმა, დაასრულა ეს ურთულესი წელი.

ეკა ურუშაძე,

აღმასრულებელი დირექტორი, CSRDG

გეოგრაფიული დაფარვა

ჩვენი საქმიანობების არეალი მოიცავს მთელს საქართველოს, თუმცა, ცალკეული მიმართულების ფარგლებში, ორგანიზაცია ინტენსიურად მუშაობს ცალკეულ მიზნობრივ მუნიციპალიტეტში. კერძოდ, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, ახმეტა, სიღნაღი, ყვარელი, თელავი, გორი, თეთრიწყარო და ბოლნისი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, აბაშა, მარტვილი, ქედა, სენაკი და ხობი, მესტია, ონი, ამბროლაური, ქუთაისი, გორი, ბოლნისი, თეთრიწყალო, ახალციხე.

ჩვენი სათავო ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში.

მისია, ხედვა და სტრატეგიული მიზნები

საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ჩვენ ხელს ვუწყობთ ქვეყნის მდგრად განვითარებას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეყობის გზით.

ჩვენ პატივს ვცემთ, თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

სტრატეგიული მიზანი: აქტიური სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

ორგანიზაციის სტრუქტურა



ჩვენი გუნდი

1. ეკა ურუშაძე	16. ლია თოდურა
2. ეკა დათუაშვილი	17. ნინო ქიტუაშვილი
3. ნინო ვასაძე	18. თამარ გობეჯიშვილი
4. ვახტანგ კობალაძე	19. ლელა ხოფერია
5. მაკა ასამბაძე	20. ნონა ალადაშვილი
6. თამარ ხაჩიძე	21. ლევან როსტომაშვილი
7. მანანა მჭედლიშვილი	22. ქეთევან კალანდაძე
8. ქრისტინე კანდელაკი	23. ბექა გუნთაიშვილი
9. დოდო გოქაძე	24. ნია ჭელიძე
10. გიგა ჩიტიშვილი	25. დავით ჩიკვაიძე
11. ეკატერინე (ანა) ილურიძე	26. მიხეილ გოგიჩაიშვილი
12. ნათია მეტრეველი	27. ლილი უშვერიძე
13. ზურაბ ტატანაშვილი	28. ანა ფილაური
14. სალომე თოფურიძე	29. მარიამ მჭედლიშვილი
15. ანა ნადირაშვილი	30. მარიამ ჯაფარიძე

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება

დონორებისგან დაფინანსება წლების მიხედვით

- **2019 – ლარი 3,980,197**
- **2020 – ლარი 3,495,122**
- **2021 – ლარი 3,903,783**
- **2022 – ლარი 4,307,501**
- **2023 – ლარი 4,918,680**

წლიური შემოსავლები

დასახელება	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
გრანტის სახით მიღებული შემოსავლები	3,980,197	3,495,122	3,903,783	4, 307, 501	4,588,116
შემომწირველებისგან მიღებული თანხები	60,407	47,090	27, 222	126,241	190,962
ეკონომიკური საქმიანობებიდან მიღებული შემოსავალი	72,718	62,276	41, 786	3 390	139,602
ჯამი	**4,113,322**	**3,604,488**	**3, 972, 791**	**4, 177, 870**	**4,918,680**

მოკლე ინფორმაცია 2023 წელს მიმდინარე აქტივობების შესახებ

- ვიმუშავეთ 19 მუნიციპალიტეტის 38 თემთან;
- მომზადდა 7 ვიდეოგაკვეთილი ევროინტეგრაციის თემაზე (www.asocireba.ge);
- გვაქვს მიმდინარე 12 პროექტი (საგრანტო კონტრაქტები); 6 მომსახურების კონტრაქტი;
- დაფინანსებული საგრანტო პროექტების ფარგლებში მომზადდა 22 პუბლიკაცია ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ;
- პრობონო საქმეში 16 კომპანიის 58 კონსულტანტი იყო ჩართული. საერთო ჯამში, 669 პრო ბონო საათი დაიხარჯა. ამ პრობონო საქმეებით სულ ისარგებლა 30 სოციალურმა ორგანიზაციამ და მოგვარდა 41 საკითხი;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამამ მოქალაქეებს გაუწია 124 კონსულტაცია, რომელიც მოიცავდა უამრავ სამართლებრივ და არასამართლებრივ საკითხს.
- სამ სამიზნე მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების შესახებ 24 რეკომენდაციიდან 12 უკვე განხორციელდა;

- ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ძირითადი ადმინისტრაციული პროცედურების სათანადო ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით წარმოდგენილი 18 რეკომენდაციიდან 12 უკვე განხორციელდა; და დამტკიცდა 16 მნიშვნელოვანი ტიპის დებულება/ნორმატიული აქტი;
- ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით საკომუნიკაციო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ფილანტროპიის პოპულარიზაციას, ისეთი მოდელების პოპულარიზაციას, როგორიცაა სათემო ფონდები და სახალხო დაფინანსება.
- გაანალიზდა სოციალური მომსახურების მინიმალური სტანდარტები და სოციალური მომსახურების 3 ახალი პროგრამა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სტანდარტებთან მიმართებაში;
- შემუშავდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების 21 კრიტერიუმი მუნიციპალური პროგრამების შესაფასებლად, უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სტანდარტებზე დაყრდნობით;
- შემუშავდა 6 ახალი მუნიციპალური სოციალური მომსახურების პროგრამა და მათგან 4 ინტეგრირებულია 2024 წლის ბიუჯეტში;
- ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს ტრენინგი ჩაუტარდათ სოციალური სერვისების მონიტორინგსა და შეფასებაზე.
- ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სსო-ებისთვის ჩატარდა ტრენინგები და შემდგომი კონსულტაციები.
- რამდენიმე სატელევიზიო და რადიო გადაცემა მომზადდა პროგრამის აქტივობების ხაზგასმისა და დემონსტრირების მიზნით, ხოლო CSR-ისა და პროგრამის შესახებ უამრავი სტატია გამოქვეყნდა ონლაინ პუბლიკაციებში.
- პრო ბონო მედიაციის ჩარჩოს ფარგლებში ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრების სერია, მათ შორის პრო ბონო მარათონი და ყოველწლიური ქსელური შეხვედრა.
- CSRDG-მ ჩაატარა 126 სხვადასხვა ტრენინგი, სემინარი და სამუშაო შეხვედრა სოციალური საწარმოებისთვის (SE), სათემო ორგანიზაციებისთვის (CBOs), არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის (NGOs), ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. ამ ღონისძიებებმა სულ 2030 მონაწილემ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 1560 ქალი და 470 მამაკაცი.
- "საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი მელიორა" ზედიზედ მეხუთე წელია წარმატებით გამოცხადდა.
- შემუშავდა CSR-ის მხარდამჭერი სახელმწიფო ჩარჩო დოკუმენტი;
- სოციალური მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში ვითანამშრომლეთ 22 სოციალურ საწარმოსთან;
- 200-ზე მეტ ახალგაზრდას გაეცნო სოციალური მეწარმეობის კონცეფცია;
- შეიქმნა სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის 6 ცენტრი, რომელთა მხარდაჭერითაც დასაქმდა 301-მდე ადგილობრივი და 1628-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა მიიღო მისთვის საჭირო მომსახურება - სწავლება, გადამზადება თუ დასაქმებისთვის საჭირო სხვა უნარ - ჩვევების შეძენა.
- დაფინანსდა შრომითი ინტეგრაციის მიზნის მქონე 6 სოციალური საწარმო, სადაც 32 ნაკლებად კონკურენტუნარიანი ადამიანების დასაქმებით ხელი შეეწყო მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე.

- CSRDG-მ დააფინანსა 131 ფიზიკური პირისა და ორგანიზაციის პროექტი, საგრანტო თანხის საერთო ოდენობა იყო 2 886 479 ლარი.

პუბლიკაციები

- დაფინანსებული საგრანტო პროექტების ფარგლებში მომზადდა 22 პუბლიკაცია ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ. პუბლიკაციები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე - asocireba.ge
- შემუშავდა CSR-ის მხარდამჭერი სახელმწიფო ჩარჩო დოკუმენტი;

ასოცირების ხელშეკრულებაში ასახული თემების ამსახველი განმარტებითი ანიმაციები

- ენერგეტიკული გაერთიანება და საქართველო http://asocireba.ge/learn/?card=156
- საზოგადოების მონაწილეობა საჯარო მმართველობაში https://www.asocireba.ge/learn/?card=159
- დეცენტრალიზაცია https://www.asocireba.ge/learn/?card=163
- რა საჭიროა არასამთავრობო ორგანიზაცია https://www.asocireba.ge/learn/?card=165
- კორუფციის პრევენცია საჯარო სამსახურში https://www.asocireba.ge/learn/?card=167
- საჯარო სამსახურის რეფორმა https://www.asocireba.ge/learn/?card=169
- რატომ არ შეიძლება „აგენტების კანონის“ მიღება? https://www.asocireba.ge/learn/?card=171

ღონისძიებები

- სათემო ლიდერთა ფორუმი 2023
- „იდეების აუქციონი“
- პრობონო მარათონი 2023
- მელიორა 2023
- რიგით მეოთხე B2B გამოფენა სოციალური საწარმოებისათვის
- CSR დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი
- ქვეყნის რეგულაციები და სურსათის უვნებლობის გამოწვევები რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის
- მასშტაბური საერთაშორისო ზემოქმედებაზე ორიენტირებული საინვესტიციო კონფერენცია "ზემოქმედება სამეზობლოში"

მიმდინარე და განხორციელებული პროექტები

1. აქტიური სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის - 2020-2023 (ორგანიზაცია პური მსოფლიოსთვის)
2. ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის (გაეროს განვითარების პროგრამა)
3. პროექტი სახალხო დაფინანსების ღონისძიების მხარდასაჭერად, რომელიც ეფუძნება TFN დონორთა წრის მოდელს
4. ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთისთვის/EFSE/
5. თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (ევროკავშირი);
6. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის (ევროკავშირი, კონრად ადენაუერის ფონდი)
7. სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის (ევროკავშირი)
8. მხარდაჭერის სახლი - მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში პროექტის წინაპირობა (Hilfswerk International; ავსტრიის განვითარების სააგენტო)
9. უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის (ევროკავშირი)
10. უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და ხანდაზმულებისთვის (ევროკავშირი)
11. „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ (CAPCA) - ევროკავშირი / საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA)
12. „მუნიციპალურ დონეზე გარემოსდაცვითი სოციალური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით“- ფრიდრიხ ებერტის ფონდთან თანამშრომლობით საქართველოში.

პროგრამების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან

მიზანი	CSRDG-ის პროგრამა	გვერდი
მიზანი 1 – სიღარიბის აღმოფხვრა	თემის განვითარება; სოციალური მეწარმეობა; უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის;	13,40,50;
მიზანი 2 – ნულოვანი შიმშილი		
მიზანი 3 – ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	სოციალური მომსახურების განვითარება;	26;
მიზანი 4 – ხარისხიანი განათლება	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; სოციალური მეწარმეობა; უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის;	10,32,40,50;
მიზანი 5 – გენდერული თანასწორობა	თემის განვითარება; უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის; ევროინტეგრაცია	13,50,60;
მიზანი 6 – სუფთა წყალი და სანიტარია		
მიზანი 7 – ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია		
მიზანი 8 – ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; სოციალური მეწარმეობა; უნარების გაძლიერება და	13,32,50,59;

	დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის;	
მიზანი 9 – მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა		
მიზანი 10 – შემცირებული უთანასწორობა		
მიზანი 11 – მდგრადი ქალაქები და დასახლებები	თემის განვითარება; კარგი მმართველობა	13,59;
მიზანი 12 – მდგრადი მოხმარება და წარმოება	თემის განვითარება; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; კარგი მმართველობა	13,32,59;
მიზანი 13 – კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები		
მიზანი 14 – ოკეანისა და ზღვის რესურსები		
მიზანი 15 – დედამიწის ეკოსისტემები		
მიზანი 16 – მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები	კარგი მმართველობა	59;
მიზანი 17 – პარტნიორობა მიზნების მისაღწევად		

მიმართულებები

ორგანიზაციაში სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება არსებობს, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მისიის მიღწევას და ამ მიმართულებების ქვეშ ერთიანდება პროგრამები, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

1. სამოქალაქო სექტორის გაერთიანება
2. კარგი მმართველობის ხელშეწყობა
3. ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა

<u>სამოქალაქო სექტორის განვითარება</u> - ორგანიზაციაში მიმდინარე ერთ-ერთი პირველი სტრატეგიული მიმართულებაა, რომლის ამოცანასაც, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან საკუთარი მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების დაცვის და მათთვის შესაბამისი სერვისების მიწოდების გაუმჯობესების ხელშეწყობა წარმოადგენს. სამოქალაქო სექტორის განვითარების ქვეშ თემის განვითარებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების, სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამები ერთიანდებიან.

<u>თემის განვითარება</u> (სოფლის და თემის დონე) - თემში ინსტიტუციური, ადვოკატირებისა და რესურსების მობილიზების უნარების გაძლიერება, რათა თემის წევრებმა ადგილობრივ განვითარებაში შეძლონ აქტიური და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

<u>საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება</u> - ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ შესთავაზონ უკეთესი სერვისი მიზნობრივ ჯგუფებს.

<u>სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა</u> - საქართველოში უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება, სადაც დაცული და მხარდაჭერილი იქნება მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები.

თემის განვითარების პროგრამა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, **თემის განვითარების მიმართულებით, 1998 წლიდან მუშაობს.**

მიმართულების მიზანი, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და სათემო ლიდერების, სამოქალაქო ორგანიზაციების თუ საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერაა, რათა ამ ჯგუფებმა შეძლონ საკუთარი თემის ინტერესების უკეთ წარმოჩენა და არსებულ საჭიროებებზე რეაგირება.
ამისათვის, პროგრამა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით მუშაობს:

1. სათემო ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება
2. სათემო ინიციატივების და პროექტების ფინანსური მხარდაჭერა
3. ქვეყანაში არსებული სათემო ორგანიზაციატა ქსელების გაძლიერება
4. ფილანტროპიის პოპულარიზაცია და ადგილობრივი რესურსების მობილიზების ახალი მექანიზმების დანერგვა

პროგრამა თავისი საქმიანობით მთელ ქვეყანას ფარავს, თუმცა უფრო ინტენსიურად კახეთის, სამეგრელოს, გურიის და შიდა ქართლის რეგიონებში მუშაობს.

სათემო ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფების ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება/კავშირების ხელშეწყობა და მათ შორის გამოცდილების გაზიარება

ამ მიმართულებით მუშაობა მოიცავს თემის განვითარების რესურს ცენტრის (CDRC.GE) გარკვეულ საქმიანობებს, როგორიცაა სათემო ჯგუფების და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის ე.წ. რუქის პერიოდული განახლება, სათემო ორგანიზაციებისათვის საჭირო ინფორმაციების/სიახლეების მიწოდება, ეროვნული დონის სათემო განვითარების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების კოალიციაში (Community Development Coalition - CoDeCo) ჩართულობა, თემატური კვლევების ჩატარება და სათემო ორგანიზაციების ერთობლივი შეხვედრების - სათემო ლიდერთა ყოველწლიური ფორუმის ორგანიზება.

ფორუმში მონაწილეობა მიიღო **170-მდე ადამიანმა**, მათ შორის თემის ლიდერებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა მთელი საქართველოდან, ასევე სამთავრობო უწყებების, ბიზნეს კომპანიების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.
სათემო ლიდერთა წლევანდელ ფორუმზე დამსწრე საზოგადოებამ, მოისმინა სხვადასხვა სათემო ორგანიზაციის გამოცდილება, გაიცნო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საინტერესო და გამორჩეული სათემო პროექტები და ინიციატივები, უყურა ვიდეოს - სათემო ლიდერები და თემის განვითარების პროგრამა.

ფორუმის განმავლობაში ტრადიციული **2021-2022 წლების 'საუკეთესო სათემო ინიციატივების' კონკურსიც გაიმართა**, მასზე წარდგენილი **6 სათემო ინიციატივიდან**:

- **ჟიურის რჩეული გახდა - "ჩვენი სივრცე უკეთესი მომავლისთვის" — მარტყოფის ახალგაზრდული ცენტრი**
- **აუდიტორიის რჩეული გახდა - "თრუსოს ხეობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნება" — ორგანიზაცია "ლომეკი"**

ყველა კონკურსანტის ინიციატივების შესახებ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ <u>მოცემულ ბმულზე.</u>

თითოეულ გამარჯვებულს გადაეცა **სპეციალური პრიზი და ბირმინგემის უნივერსიტეტის მიერ დაწესებული 500 ფუნტი სტერლინგი.**

'საუკეთესო სათემო ინიციატივების' კონკურსის მონაწილე სათემო ჯგუფების მომზადებისა და მათთვის სპეციალური ჯილდოების დაწესების პროცესში ჩართულნი იყვნენ ბიზნეს კომპანიები: თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, კრედო ბანკი, თეგეტა ჰოლდინგი, ეიპიემ ტერმინალს ფოთი და ემბისი.

ფორუმის მეორე დღეს გაიმართა **მულტისექტორული პანელური დისკუსიები** შემდეგ თემებზე:

- თვითმმართველობასთან თანამშრომლობის დადებითი პრაქტიკები და არსებული გამოწვევები
- ტურიზმი სოფლად
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერება — სოფლად არსებული შესაძლებლობები
- თემის ისტორიული მეხსიერება და კულტურული მემკვიდრეობა
- სასკოლო კვება და თემის კეთილდღეობა — რატომ უნდა მოვითხოვოთ სასკოლო კვების პროგრამები

ფორუმის დასასრულს, ერთი სესია **„ღია სივრცის"** სახელწოდებით დაეთმო სათემო ორგანიზაციებს შორის კონტაქტების გაღრმავებას და ერთობლიც ჯგუფურ მსჯელობას. ჯგუფის ნამუშევრები შეგიძლიათ იხილოთ <u>მითითებულ ბმულზე</u>.

წლევანდელი ფორუმის მხარდამჭერები იყვნენ: ევროკავშირი, კორნად ადენაუერის ფონდი (KAS), გაეროს განვითარების სააგენტო, შვედეთი, პური მსოფლიოსათვის და ბირმინგემის უნივერსიტეტი.

სათემო ინიციატივების და პროექტების ფინანსური მხარდაჭერა

თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში თითქმის ყოველწლიურად, მთელი ქვეყნის მაშტაბით ცხადდება საგრანტო კონკურსი მცირე სათემო პროექტების და ინიციატივების მხარდასაჭერად. საგრანტო კონკურსის თემატიკა განსხვავებულია, თუმცა მათი მიზანი ყოველთვის უცვლელია: ა) ადგილებზე არსებული პრობლემების მოგვარება და საჭიროებებზე რეაგირება, თავად ადგილობრივი ჯგუფების ძალისხმებით და მოსახლეობის ჩართულობით და ბ) პროექტის განხორციელების საშუალებით და ამ პროცესში პროგრამის გუნდის ინტენსიური მენტორინგით, თავად სათემო ჯგუფების და ლიდერების შესაძლებლობების განვითარება, როგორც უნარების გავარჯიშების, ისე თვითდაჯერებულობის ამაღლების და თემში აღიარების / ნდობის გაზრდის მეშვეობით.

2022 წელს, სექტემბერსა და ნოემბრის თვეებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სტარ პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა ორი **კონკურსი სათემო ინიციატივების მხარდასაჭერად.** ორივე კონკურსზე შემოსული განაცხადების რაოდენობამ 167 შეადგინა, რაც ამ ტიპის საგრანტო კონკურსზე ქვეყანაში არსებულ დიდ ინტერესზე და საჭიროებაზე მიუთითებს.

კონკურსის მიზანია იმ სათემო პროექტების/ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი, სათემო ორგანიზაციებისა და აქტივისტთა ჯგუფების გაძლიერებასა და მათი შესაძლებლობების განვითარებას როგორც საზოგადოებრივი ნდობის მოპოვების, ისე ადგილებზე არსებული შესაძლებლობების/რესურსების ეფექტურად გამოყენების კუთხით, ასევე ხელს შეუწყობს კონკრეტულ გეოგრაფიულ ან სოციალურ თემში არსებული პრობლემების მოგვარებას / აქტუალური საკითხების გადაჭრას, ადგილობრივი რესურსების (ბენეფიციარები, მხრადამჭერები, მოხალისეები, სპონსორები, მატერიალური/ფინანსური რესურსი და ა.შ) მობილიზაციის ეფექტური კამპანიებით. მეორე საგრანტო კონკურსზე შემოსული განაცხადები განიხილეს 2023 წელს და შედეგად 10 გამარჯვებული დაჯილდოვდა სათემო ინიციატივების განსახორციელებლად.

2022-2023 წელს დაფინანსდა 18 სათემო პროექტი/ინიციატივა, რომელზეც გაცემულმა საგრანტო თანხამ ჯამში **491 132** ლარი შეადგინა.

დაფინანსებული პროექტები:

#	ორგანიზაცია/ ჯგუფი	პროექტის სახელი
1.	ა(ა)იპ „მწვანე პოლუსი“	თბილისში ქვის მშრალი მეთოდით ჭრის მონიტორინგის ხელშეწყობა
2.	ა(ა)იპ თემთა სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ასოციაცია - „იმერეთი“	,ახალგაზრდა ლიდერები თემის განვითარებისათვის“
3.	ახალგაზრდული ცენტრების ასოციაცია	ახალგაზრდობა სოფლის განვითარებისთვის
4.	სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების ინსტიტუტი	არაფორმალური განათლების ახალგაზრდული მულტიმედიური სასწავლო ცენტრი ახალდაბაში
5.	იორმუღანლოს სათემო ცენტრი	პოზიტიური აქტივიზმის მნიშვნელობა და გაღვიძება/პოპულარიზაცია
6.	საინიციატივო ჯგუფი „ქალების ძალა მაღრაანისთვის“	თემზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარება მაღრაანში
7.	ააიპ უხუცეს ქალთა საბჭო	ძლიერი ქალები - ძლიერი საზოგადოება
8.	ა(ა)იპ ჟურნალისტისკის რესურსცენტრი	კოხტა მედიათეკა
9.	სათემო ორგანიზაცია "ნუკრიანი"	„ანდრონიკაანთ უბანი“ - სოფელ ნუკრიანში სამეზობლო ინიციატივის განვითარების მხარდაჭერა
10.	საინიციატივო ჯგუფი -ციფრული სივრცე - მეტი შესაძლებლობა	სათემო ფონდი - ერთობა პოზიტიური ცვლილებისთვის
11.	სურამის განვითარების საინიციატივო ჯგუფი	სურამის სათემო განვითარების ცენტრი
12.	საინიციატივო ჯგუფი “როდემდე’?	უპატრონო ძაღლების მართვის სტრატეგია უსაფრთხო გარემოსთვის"
13.	ასოციაცია "ბეთლემი"	ჩვენ ვზრუნავთ, ვცვლით მოხუცების ცხოვრებას
14.	საზოგადოებრივი სახლი „ოდა	შამგონას ახალგაზრდული ცენტრი

15.	ლესიჭინის თემის ქალთა საინიციატივო ჯგუფი „დეკა“.	შემოგვიერთდი
16.	დამოუკიდებელი განათლების კონსულტანტების ჯგუფი	სათემო საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებისთვის: ავლევი, კნოლევი და წერონისი.
17.	ასოციაცია "გზა მშვიდობისაკენ"	თეთრიწყაროს კლდეზე მცოცავები
18.	საინიციატივო ჯგუფი „საზოგადოებისთვის“	წოვათუშეთის სათემო კულტურული სივრცე ზემო ალვანში

დაფინანსებული 18 პროექტიდან 10 ჯერ კიდევ მიმდინარეობს და 8 პროექტი დასრულდა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანს აქვს უდიდესი ბუნებრივი და კულტურული რესურსი ტურიზმის განვითარებისთვის, თუმცა პროექტამდე ეს ყველაფერი მხოლოდ პოტენციალად განიხილებოდა. პროექტით დაგეგმილი აქტივობები მაღრაანის, როგორც ახალი ტურისტული ადგილის შექმნა-პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. პროექტი ითვალისწინებდა სოფელ მაღრაანის ტურისტული რესურსების მოკვლევას, ტურიზმის მომსახურების კუთხით ტრენინგების, მასტერკლასების ჩატარებას, ფესტივალების დაგეგმვას, ადგილობრივი ნაწარმის გამოფენასა და პრაქტიკული გაკვეთილების მოწყობას ტურ ოპერატორებთან ერთად.

პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი გათვლა გახლდათ ტურიზმის განვითარების ხარჯზე, მაღრაანის თემის სოფლების: მაღრაანის, ფიჩხოვანის, არგოხის ეკონომიკური და სოციალური წინსვლა. ადგილობრივებში უკვე შეინიშნება ინტერესი და პირველი ნაბიჯების გადადგმის მცდელობა ტურიზმის მიმართულებით რაც სწორად წარმართული საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

შეიძლება ითქვას რომ პროექტი "აღმოაჩინე მაღრაანი - Discover Maghraani" უკვე ამბობს თავის სათქმელს: საქმიანობით დაინტერესდნენ მედია საშუალებები; დაგეგმილია არა ერთი რეპორტაჟი; გამოჩნდნენ პირველი ზურგჩანთიანი სტუმრები, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ პროექტი იმაზე მეტ შედეგებს მიაღწევს დასკვნით ეტაპზე, ვიდრე ეს გათვლილი და წარმოდგენილი ჰქონდათ გუნდის წევრებს.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის” ფარგლებში, გამოცხადდა დახურული კონკურსი ქსელის წევრი სათემო ორგანიზაციებისათვის. განცხადების პირობა იყო ადგილობრივი თანადაფინანსების უზრუნველყოფა. წარმოდგენილი 15 საპროექტო იდეიდან სულ

შეირჩა 7 პროექტი, ფონდმა კონსტანტამ საგრანტო ფონდში 3000 ლარი შეიტანა და შესაძლებელი გახადა 7 მიკროპროექტის მხარდაჭერა.

დაფინანსებული პროექტები:

#	თემი	ქალთა საინიციატივო ჯგუფი	პროექტის სახელი	მოკლე აღწერა
1	ჩხოროწყუ	საინიციატივო ჯგუფი "თანასწორი"	"ბიბიდი ბაბიდი ბუ - ჯადოსნური მინი სტადიონი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის"	ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ჩხოროწყუს ახალგაზრდებში მინი სტადიონის მოწყობის გზით
2	ხორნაბუჯი	ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრი "ხორნაბუჯი"	„მომავლის ხედვის კინოთეატრი “	ხორნაბუჯის და მისი მეზობელი თემების (სხვადასხვა ეთნიკური და ასაკობრივი ჯგუფის) მცხოვრებთათვის შემეცნებითი, გასართობი და კულტურული სივრცის შექმნა მრავალეთნიკური ინტეგრაციისა და სოციალური კეთილდღეობისთვის.
3	ვარდისუაბანი	სათემო გაერთიანება "ვარდისუბანი"	სარეაბილიტაციო ცენტრი "ახალი კერა"	ვარდისუბნის თემში ახალგაზრდებისა და ქალების ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშეწყობა საგანმანათლებლო სივრცისა და შესაბამისი IT რესურსების ჩამოყალიბების, სიახლეების, ინფორმაციისა და საგანმანათლებლო მასალების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით.
4	აფენი	სათემო გაერთიანება "ქედელი"	ახალგაზრდებში კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	აფენის თემში ახალგაზრდების დასაქმების უნარებისა და ცოდნის ჩამოყალიბება სხვადასხვა და საჭიროებებზე მორგებული პროფესიული კურსების დანერგვით (როგორიცაა ვებ და გრაფიკული დიზაინი, საოფისე პროგრამები, სახალხო დაფინანსების ინსტრუმენტები და ა.შ.)

5	ფშაველი	თემის განვითარების ცენტრი "აისი"	ძლიერი ახალგაზრდობა უკეთესი მომავლისთვის	რბილი და პროფესიული უნარების განვითარება და ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა ფშაველსა და მეზობელ თემებში
6	სანიორე	საინიციატივო ჯგუფი "ცისარტყელა"	ერთად სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის	სოფლის მეურნეობის საკითხებზე თელავის მუნიციპალიტეტის 7 თემის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და ცოდნის ჩამოყალიბება
7	ოზურგეთი	გურიის მედიატორთა ასოციაცია	აგრო ლაბორატორია	სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გზით; საჭირო უნარ-ჩვევები და ცოდნა და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამები სოფლის მეურნეობის სფეროში.

ქვეყანაში არსებული სათემო ჯგუფების ქსელის გაძლიერება

ეს მიმართულება, წინა წლებში ცენტრის სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში კახეთის, სამეგრელოს, გურიის და შიდა ქართლის მიზნობრივ სოფლებსა და დაბებში ფორმირებული სათემო ჯგუფების და ორგანიზაციების 27 წევრიანი ქსელის გაძლიერებას მოიცავს. კერძოდ, **ქსელის წევრების ტექნიკური (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები) და ფინანსური (პროგრამული დაფინანსება) მხარდაჭერის** გზით.
2023 წელს პროგრამამ, რეგიონული ორგანიზაციების კონსორციუმთან ერთობლივად ინტენსიურად იმუშავა **ქსელის 12 წევრ ორგანიზაციასთან და საინიციატივო ჯგუფთან.** ცენტრთან და მისი თელავის ოფისის წარმომადგენლებთან ერთად კონსორციუმის შემადგენლობაში შედიან რეგიონული ორგანიზაციების: საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია - კახეთი, განვითარების კერა - სამეგრელო და დემოკრატიული განვითარების კავშირი - გურია წარმომადგენლები.

რაც შეეხება 12 სათემო ორგანიზაციას, ესენი არიან საგარეჯოს, გურჯაანის, ახმეტის (იორმუღანლო, ვაჩნაძიანი და მაღრაანი), ყვარელის და სიღნაღის (ახალსოფელი, ზინობიანი და ბოდბე), ზუგდიდის (ახალაბასთუმანი, ჭითასკარი, ნარაზენი და შამგონა), ოზურგეთის და ლანჩხუთის (ასკანა და სუფსა) მუნიციპალიტეტებში მოქმედი სათემო ჯგუფები, რომელთაც ჩაუტარდათ ჯამში 6 ტრენინგი ისეთ თემებზე როგორიცაა:

• გუნდის შექმნა და ლიდერობა.

• საზოგადოებებთან მუშაობა

• პროექტის დაგეგმვა და დიზაინი

• სამოქალაქო ჩართულობა ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საერთო ჯამში, ამ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 110-ზე მეტმა ადამიანმა, მათგან 90%-ზე მეტი ქალი იყო.

ასევე, მოეწყო ორი გამოცდილების გაზიარების მუნიციპალური ვიზიტი სამეგრელოსა და კახეთის რეგიონებში. მონაწილეობა მიოღო, სულ 31 ადამიანმა (აქედან 27 ქალი და 4 მამაკაცი) რომლებიც წარმოადგენდნენ ახალ წარმოქმნილ სათემო ჯგუფებს გურიის, სამეგრელოსა და კახეთის რეგიონებიდან.

ვიზიტების მიზანი იყო საზოგადოებაში მუშაობის გამოცდილების, წარმატებული ისტორიების და მიღებული გაკვეთილების გაზიარება ძველი და კარგად ჩამოყალიბებული სათემო ჯგუფისა და ორგანიზაციების განვითარებად ორგანიზაციებთან. სამეგრელოში ახალი ჯგუფების ლიდერები ეწვივნენ ქალთა სათემო ჯგუფს „თანასწორი“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში და სათემო ორგანიზაცია „განათლებისა და განვითარების ცენტრი - ტოლისკური“ ხობის მუნიციპალიტეტში. მონაწილეები გაეცნენ კონკრეტული პროექტების შედეგებს, როგორიცაა სოციალური საწარმოების მუშაობა, მეწარმეთა კლუბი და სხვა ინფრასტრუქტურული ინიციატივები. რაც შეეხება კახეთს, ჯგუფი ეწვია ფშაველის თემის სათემო ორგანიზაციას „აისი“, თელავის მუნიციპალიტეტში სათემო ფონდ ლელის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ლელიანის თემის მოზრდილთა განათლების ცენტრს. ისინი ადგილზე გაეცნენ სოციალური კაფე „თანავეს“ მუშაობას, რომელსაც მართავს სათემო ორგანიზაცია „აისი“ და მონაწილეობა მიიღეს ლელიანის თემში მიმდინარე სახალხო დაფინანსების სამუშაო შეხვედრაში. გამოცდილების გაზიარების ორივე ტური იყო ძალიან მიმზიდველი, ინფორმაციული და ინსპირაციული ყველა მონაწილისთვის.

გარდა ამისა, სათემო ორგანიზაციების ქსელის წევრებისთვის გაგრძელდა ონლაინ შეხვედრების ციკლი სახელწოდებით „სათემო საუბრები“, წლის მანძილზე ჩატარდა 4 ორ-სამ საათანი შეხვედრა, რომელსაც ჯამში 65-მდე სათემო ლიდერი დაესწრო. ამ შეხვედრებზე მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მოწვეულმა მომხსენებლებმა, მათ შორის: ექსპერტმა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტიდან, CSRDG-ის ევროკავშირში ინტეგრაციის კომპონენტის ლიდერმა და ქეა კავკასიისა და ბიზნეს სკოლის წარმომადგენელმა.

ამავე, სათემო ორგანიზაციებმა პროგრამის გუნდის წევრების ფასილიტაციით და დახმარებით, შეიმუშავეს ექვსთვიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც არის ერთგვარი რეაგირება მათ თემში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე და მოიცავს, როგორც საგანმანათლებლო და სპორტულ-კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას, ასევე ადგილზე არსებული პრობლემების ადვოკატირების კომპონენტს. ეს უკანასკნელი მოიაზრებს ადგილობრივი პრობლემების კვლევას და ადგილობრივი მუნციპალიტეტისადმი და შესაბამისი უწყებებისთვის რეაგირებისთვის მიწოდებას. სწორედ ამ სამოქმედო გეგმების განხორციელებას გაუწია პროგრამამ **მცირე ფინანსური მხარდაჭერა,** რამაც თითო ჯგუფზე/ორგანიზაციაზე საშუალოდ 3000-4000 ლარი შეადგინა. გრანტები

გაიცა 12 ახალ წარმოქმნილ სათემო ორგანიზაციაზე 6 თვიანი სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად, რომლებიც ეფუძნება ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებს და მათ შორის ადვოკატირების აქტივობებს, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღებთათვის. თემის კრიტიკული საკითხების იდენტიფიცირების პროცესი უკვე განხორციელდა 27-ვე სამიზნე თემში (მათ შორის ახალი წევრებიც არიან). ადგილობრივი საჭიროებების შეფასებისთვის გამოყენებული იქნა სხვადასხვა ინსტრუმენტები, როგორიცაა გამოკითხვა, კითხვარები და ფოკუს ჯგუფები. შედეგად, გამოვლენილი პრობლემები და საჭიროებები წარედგინა შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების მიმღებებს ოფიციალური წერილების ან/და პირად პრეზენტაციების სახით (სულ მოეწყო 8 შეხვედრა). ამავე პერიოდში სათემო ჯგუფებმა შეძლეს **111 ადგილობრივი პრობლემის მოგვარება/საჭიროებაზე რეაგირება**.

2023 წელს ჩატარდა სამიზნე სათემო ორგანიზაციების შეფასება კახეთის, სამეგრელოს, გურიისა და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მოქმედი რვა სათემო ორგანიზაციის/ჯგუფის საქმიანობის შესაფასებლად. პირველადი მიზნები იყო ამ ჯგუფების საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის შეფასება და მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის შეფასება. გარდა ამისა, კვლევა მიზნად ისახავდა საზოგადოების მოსაზრებების შეგროვებას ცენტრების სამომავლო და სასურველი საქმიანობის შესახებ.

კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად:

1. თვისობრივი ნაწილი: ეს მოიცავდა 24 სიღრმისეულ ინტერვიუს.

2. რაოდენობრივი ნაწილი: ეს მოიცავდა პირისპირ ინტერვიუს შინამეურნეობის 328 წარმომადგენელთან.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სათემო ორგანიზაციების ცნობადობა და პოპულარობა მაღალია. კერძოდ, რესპონდენტთა 42.7%-მა აღნიშნა, რომ სმენია ცენტრების საქმიანობის შესახებ, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია 15-44 წლის მოსახლეობაში. სათემო ჯგუფები, პირველ რიგში, აღიარებულნი არიან თავიანთი საგანმანათლებლო და კულტურული საქმიანობით.

სათემო ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობა ძალიან აფასებს. გამოკითხულთა უმეტესობა აფასებს მათ შრომას და თვლის, რომ ის დადებითად აისახება მათი სოფლების კეთილდღეობაზე, რაც განსაკუთრებით გავრცელებულია ახალგაზრდებში. რაც შეეხება თემის ჯგუფების ეფექტურობის შეფასებას, გამოკითხული მოსახლეობის უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს ჯგუფები აქტიურად მუშაობენ და ეხმარებიან სოფლის მოსახლეობას პრობლემების მოგვარებაში. კმაყოფილების დონის მსგავსად, ეფექტურობის აღქმა უფრო გამოხატულია ახალგაზრდებში.

ფილანტროპიის პოპულარიზაცია და ადგილობრივი რესურსების მობილიზების ახალი მექანიზმების დანერგვა

ამ მიმართულებით ორგანიზაციამ საქმიანობა 2020 წლიდან დაიწყო და პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმასთან ერთად საკმაო გამოცდილების დაგროვებაც შეძლო. საქმიანობა ძირითადად მოიცავს საზოგადოებაში კონცეფციიის პოპულარიზაციას, მის მაგალითებზე და ფორმებზე მეტი ინფორმაციის და განათლების შეტანას, და ისეთი მოდელების დანერგვას და ხელშეწყობას, როგორიცაა **სათემო ფონდები** (Community Foundations) და **ქრაუდფანდინგი** ანუ სახალხო დაფინანსება.

ამ კამპანიის თანმხლები ნაწილი იყო, ივლისში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სტარ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული, ქრაუდფანდინგის კამპანიების მხარდასაჭერი საგრანტო კონკურსი. მისი მიზანი იყო იმ ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქრაუდფანდინგის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის და/ან სოციალური ინიციატივებისთვის საჭირო რესურსების მობილიზებას. თავად, კონცეფცია შედარებით ახალია ჩვენი საზოგადოებისთვის, შესაბამისად არც იყო გასაკვირი შემოსული განაცხადების მცირე რაოდენობა - 8, საიდანაც დასაფინანსებლად დამოუკიდებელი კომისიის მიერ შეირჩა 5 განაცხადი. დაფინანსებული 5 პროექტიდან 2 დასრულებული და 3 ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

საგრანტო კონკურსის მეორე ტურის გამოცხადებამდე მოეწყო ორი 3-საათიანი გაცნობითი შეხვედრა Crowdfunding კონცეფციისა და მისი ინსტრუმენტების შესახებ ონლაინ ფორმატში დაინტერესებული სამოქალაქო ჯგუფებისა და აქტივისტებისთვის. შეხვედრებზე საგრანტო კონკურსის პირობებიც დაფიქსირდა. შეხვედრებს უძღვებოდნენ საქართველოს სახალხო დაფინანსების ასოციაციისა და პლატფორმა ჩართეს მოწვეული ექსპერტები, სულ 98 ადამიანი დაესწრო, მათ შორის 18% მამაკაცი და 82% ქალი.

12 დეკემბერს, თბილისში, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში რიგით მეორე „იდეების აუქციონი“ გაიმართა. ღონისძიება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) თემის განვითარების პროგრამის ორგანიზებითა და ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით ჩატარდა.
„იდეების აუქციონი“, სახალხო დაფინანსების ცნობილი, საერთაშორისო მეთოდია, რომელიც საინიციატივო ჯგუფებს/მცირე ზომის ორგანიზაციებს საკუთარი პროექტების პოტენციურ დონორებთან წარდგენასა და რესურსების ცოცხალ რეჟიმში შეგროვებაში ეხმარება. აღნიშნული პრაქტიკა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ, საქართველოში შარშან დაინერგა და წელს უკვე მეორედ, წარმატებით განხორციელდა.
ღონისძიებას დაესწრნენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორის, მედიის, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, **100-მდე ადამიანი**. სტუმრებმა მოისმინეს აუქციონისთვის

შერჩეული პროექტების პრეზენტაცია და მათთვის საინტერესო ინიციატივებისთვის გასცეს დონაციაც. ორგანიზაციებმა წარმატებით შეძლეს საკუთარი პროექტების დადებითად წარმოჩინება, აუდიტორიის დაინტერესება და ფინანსური მხარდაჭერის მიღება. ჯამში, წლევანდელ იდეების აუქციონზე, დაგეგმილ **15 000 ლარზე მეტი, კერძოდ კი 22 300 ლარი შეგროვდა**.

აუქციონზე წარდგენილი პროექტები:

1. კავკასიის ონკოსაზოგადოება „ჰოუფი“, პროექტი - „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“

კავკასიის ონკოსაზოგადოება „ჰოუფის“ მთავარი დანიშნულება ონკოპაციენტების და მათი ოჯახის წევრების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერაა. ორგანიზაციის მთავარი მიდგომა პაციენტები - პაციენტებისთვისაა, თუმცა, შეზღუდული რესურსების გამო, იგი ვერ ახერხებს რეგიონების მოცვას და ძირითადად მხოლოდ თბილისში მცხოვრებ პაციენტებს ეხმარება. თუმცა, რეგიონებში, მოსახლეობას კიდევ უფრო ნაკლები ფინანსური შესაძლებლობა აქვს იმისთვის, რომ მიმართონ სპეციალისტებს, ხოლო ამ დაავადებასთან დაკავშირებული სტერეოტიპები, კიდევ უფრო ძლიერია. ხშირად პაციენტებს დიაგნოზის დამალვაც კი უწევთ.

აუქციონზე წარსადგენი პროექტით, ორგანიზაციას სურს საქართველოს სამი რეგიონის (აჭარა, იმერეთი და კახეთი) მოცვა. კერძოდ, იქ მცხოვრები ონკოპაციენტებისა და ოჯახის წევრებისთვის, უფასო, არტთერაპიული ტრენინგ/ვორქშოფების ჩატარება. ამ აქტივობებით, ონკოპაციენტები უკეთ ხედავენ, ერთის მხრივ - „სტიგმატიზირებულ კიბოს“ - როგორც განზოგადებულ პრობლემას და მეორეს მხრივ - „რეალურ კიბოს“ - როგორც ცხოვრების მორიგ გამოწვევას, რათა მათ აღმოაჩინონ დაავადებასთან გამკლავების საკუთარი და უნიკალური რესურსები.

ორგანიზაციამ “იდეების აუქციონის” აუდიტორიის მხარდაჭერით, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, **7000 ლარი** შეაგროვა.

2. საინიციატივო ჯგუფი „ამო მეოთხეზე“, პროექტი - „ხელოვნება - ის რაც გვაერთიანებს“

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება სავსეა სტრესითა და პასუხისმგებლობებით. თუნდაც პროფესიულ გადაწვას, ძალიან დიდი ზიანის მოტანა შეუძლია როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის. განტვირთვისა და საყვარელი ჰობით დაკავების შესაძლებლობა, სრულფასოვანი და ხარისხიანი ცხოვრებისთვის სჭირდება ყველას.

თბილისის ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მეოთხე სართულზე, ფუნქციონირებს პატარა თეატრი, რომელიც განსხვავებულ ასაკობრივ და მოწყვლად ჯგუფებში, მათ შორის ბავშვებში, ხელოვნების უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სივრცის პარტერში 60 ადამიანი თავსდება. ამ სცენაზე, განსაკუთრებული საჭიროებების მქონდე ბავშვების გარდა, სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს, იურისტებს, თუ ექიმებს, თავისი ბავშვობის ოცნებები აუხდენიათ (წრეები უფასოა).

თბილისში, ხელოვნების მოყვარულთათვის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, უფასო სახელობო, არტთერაპიული წრეები ხელმიუწვდომელია. რეგიონში მცხოვრები შემოქმედებითი ნიჭის მქონე ბავშვებისთვის, კი ძალიან რთულია საკუთარი შემოქმედების ფართო საზოგადოებისთვის

გაცნობა. სივრცე რეგულარულად ეთმობა ახლადშექმნილ შემოქმედებით ჯგუფებსა და ინდივიდებს და ასევე, მასპინძლობს სამი მუნიციპალიტეტის სკოლის, თეატრალურ დასებსაც.

დღეს „მეოთხე სართულის“ მთავარი გამოწვევა გათბობის არარსებობაა, რომლის გარეშეც, სტუდია ვერ იღებს მომლოდინე მსურველებს, მოწყვლადი ოჯახების ბავშვებისთვის არტთერაპიული გაკვეთილების ჩასატარებლად.

მათთვის, იდეების აუქციონის ფარგლებში, **7000 ლარი** შეგროვდა.

3. ორგანიზაცია „გზა მშვიდობისკენ“ - პროექტი - „უსაზღვრო საზღვრის მცველები“

ცნობილია, რომ სპორტი აუცილებელია ბავშვის სხეულის ჯანსაღი განვითარებისთვის, გამძლეობის, იმუნიტეტისა და ფიზიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის. სპორტის ზოგიერთი სახეობა, ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის დროს, გადამწყვეტ როლსაც კი ასრულებს.

ახლა, წარმოიდგინეთ ცხინვალიდან სულ რაღაც ერთ კილომეტრში, სოფელ ნიქოზში (კონფილქტის მიმდებარე ტერიტორია), მცხოვრები მოსახლეობა, რომელსაც შეზღუდული წვდომა აქვს არათუ სპორტის სახეობებთან, არამედ ვერ ხდება მათი საბაზისო საჭიროებების უზრუნველყოფაც კი. თუმცა, ამ სოფელში წარმატებული და ნიჭიერი, პატარა მეკლდეურები ცხოვრობენ და უკვე მრავალი წელია კეთილმოწყობილ დარბაზსა და ნორმალურ სავარჯიშო პირობებზე ოცნებობენ. კლდეზე ცოცვა, განვითარებულ ქვეყნებში, ერთ-ერთ ყველაზე ჯანსაღ აქტივობად მიიჩნევა. ის ეხმარება, მაგალითად ხერხემლის დროს, ხერხემლის გაძლიერებაში (უკეთ, ვიდრე ცურვა), მოქმედებაში მოჰყავს სხეულის ფაქტობრივად ყველა კუნთი და ავარჯიშებს გონებას.

7 წლიანი ბრძოლის შემდეგ, ორგანიზაციას ადგილობრივი მუნიციპლიტეტიდან, სოფლად არსებული უფუნქციო შენობა გადაეცა. ორგანიზაციამ საკუთარი ძალებითა და შემოწირულობებით, სივრცის ნაწილობრივი გარემონტება მოახერხა, თუმცა სრულფასოვანი ვარჯიში იქ კვლავ შეუძლებელია. კედლებს სჭირდება გალესვა და ხელსაჭიდების დამონტაჟება, შენობაში არ ფუნქციონირებს სველი წერტილები. აღნიშნული პირობების შექმნა აუცილებელია ახალგაზრდა სპორტსმენების განვითარებისთვის, რომელთაგან ერთ-ერთიც უკვე საქართველოს მსოფლიო ჩემპიონია.

ორგანიზაციის მისიაა რეგიონებსა და სოფლებში, მეკლდეურობის განვითარებით, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა, ამი მისიის ხელშესაწყობად, „იდეების აუქციონზე“ მათთვის **8300 ლარი** შეგროვდა.

ამავე მიმართულების ქვეშ, გაგრძელდა **სათემო ფონდების** კონცეფციის პოპულარიზაცია და მისი ინიცირებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება თელავის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში. 2023 წელს CSRDG-მ გააგრძელა მუშაობა ორივე შექმნილი სათემო ფონდის საინიციატივო ჯგუფის შესაძლებლობების ასამაღლებლად, კერძოდ: ორივე ჯგუფი ახორციელებდა ე.წ. საგრანტო პროექტებს, რაც ითვალისწინებდა სათემო ფონდების შემდგომ პოპულარიზაციას ადგილობრივად და პირველი ცოცხალი სახალხო დაფინანსების ღონისძიებების/იდეების აუქციონების ორგანიზებას. ორივე რაიონში დაგეგმილი აუქციონები წარმატებით ჩატარდა 2022 წლის ბოლოს (ლაგოდეხი) და 2023 წლის

მარტისთვის (თელავი). სულ ექვსივე ფიჩინგ პროექტმა მოიზიდა სახსრები (სულ 13 685 ლარი). ოთხი პროექტი უკვე დასრულებულია, ორი კი ჯერ კიდევ მიმდინარეობს (თელავის მუნიციპალიტეტი).

CSRDG-ის მიდგომის მიხედვით, საგრანტო პროექტების მიღწეული შედეგების შეფასებამ უნდა მიიყვანოს პროექტის გუნდი სათემო ფონდების საინიციატივო ჯგუფებთან მუშაობის გაგრძელების და შემდგომი განვითარების გრანტების გაცემის გადაწყვეტილებამდე. შეფასებისთვის გამოყენებული იქნა ორი ძირითადი კრიტერიუმი:

1. განხორციელებული სამუშაოს ეფექტურობა და გუნდური მუშაობის დონე (კოორდინაცია; ფუნქციების განაწილება და გრძელვადიანი ხედვა სათემო ფონდებისათვის)

2. რესურსების მობილიზაციის (მიზნობრივი ოდენობის) ადგილობრივ დონეზე შესრულება

2023 წელს ჩატარდა ორივე ჯგუფის შეფასების სამუშაო შეხვედრა. შეფასებების მიხედვით, ორივე ლოკაციაზე მეორე კრიტერიუმი წარმატებით დაკმაყოფილდა და მიზნობრივი რესურსების მობილიზება მოხდა იდეების აუქციონის საშუალებით, მაგრამ ეფექტური გუნდური მუშაობის პირველი კრიტერიუმი პრობლემურია ლაგოდეხის ჯგუფისთვის, განსაკუთრებით კოორდინირებული და ხანგრძლივი მუშაობის კუთხით. თელავის ჯგუფმა გამოავლინა კარგი გუნდური მუშაობა და სათემო ფონდის განვითარების მკაფიო ხედვა. ამგვარად, პროექტის ჯგუფმა გადაწყვიტა გააგრძელოს მუშაობა მხოლოდ თელავის სათემო ფონდის საინიციატივო ჯგუფთან და გასცეს მასზე შემდეგი დონის განვითარების გრანტი. CSRDG გუნდი დაეხმარა ფონდის რეგისტრაციისა და შემდგომი დოკუმენტების მომზადების პროცესში.

CSRDG გუნდმა ასევე ხელი შეუწყო ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს. შედეგად, სათემო ფონდის ჯგუფმა შეიმუშავა მისია და ლოგიკური ჩარჩო მომავალი 3 წლისთვის. წლის ბოლოს მოეწყო სამუშაო შეხვედრა თელავში, რომლის მიზანი იყო 2024 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება. სათემო ფონდის – ერთად თელავისთვის იურიდიული რეგისტრაცია 2024 წლის დასაწყისისთვის განხორციელდება.

მიუხედავად ამ ფაქტისა, აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განხორციელებულმა მუშაობამ დიდი წვლილი შეიტანა ადგილობრივი გაცემის კულტურისა და სახალხო დაფინანსების პირველი და საკმაოდ წარმატებული პრეცედენტის შექმნაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის შემდგომ განვითარებას. ამასთან, კამპანიამ დონეზე ხელი შეუწყო სათემო ფონდის ჩამოყალიბებას გურიის რაიონის ასკანას თემში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პროგრამის ფარგლებში, ხელს ვუწყობთ საქართველოში სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერებას, ცნობადობის ამაღლებასა და საზოგადოებაში მათ მიმართ ნდობის გაძლიერებას. ამ მიმართულებით მუშაობა 1998 წლიდან დავიწყეთ.

მიზნის მისაღწევად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მუდმივად ვთავაზობთ მათ საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელიც საშუალებას აძლევთ გაიუმჯობესონ ორგანიზაციის მართვის სისტემები, თავიანთ მიზნობრივ აუდიტორიას შესთავაზონ ხარისხიანი მომსახურება და რაც ყველაზე მთავარია, უზრუნველყონ ორგანიზაციის ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობა.

აქტივობები

ზოგადად, პროექტის აქტივობები განაწილებულია CSRDG-ის სხვადასხვა პროგრამებზე. თუმცა, ყველა აქტივობა და მიღწეული შედეგი ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას. საერთო ჯამში, 2023 წლის განმავლობაში, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მოთხოვნით, CSRDG პროგრამის ფარგლებში მომზადდა და განხორციელდა არაერთი სემინარი, ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა.

სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა

„ბენეფიციარები არ არიან უცხო, მოწყვლადი ადამიანები ან ჯგუფები, ბენეფიციარები ვართ თითოეული ჩვენგანი, რომლებიც ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, სხვადასხვა გარემოების გამო ვხვდებით მოწყვლად მდგომარეობაში და გვჭირდება ღირსების და სხვა უფლებების დაცვით მხარდაჭერა.“ - ზურაბ ტატანაშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი.

2019 წელს ევროკავშირის მხარდაჭერით, ორგანიზაციამ **დაიწყო ფართომასშტაბიანი სამწლიანი პროექტი „უფლებაზე დაფუძნებული სოციალური სერვისების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთათვის“**. პროექტთან ერთად ორგანიზაციაში გაჩნდა ახალი, სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა, რომლის **მიზნია,** საქართველოში უფლებებზე დაფუძნებული ისეთი სოციალური მომსახურების განვითარება, სადაც დაცული და მხარდაჭერილია მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები.

უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სოციალური მომსახურება არ არის ქველმოქმედება, არამედ ის არის ჯანსაღი, დემოკრატიული, სოლიდარული და მხარდამჭერი საზოგადოების ყველა წევრის უფლება. ის განიხილავს სოციალური მომსახურების მიმღებებს როგორც

„უფლების მქონეებს“ ხოლო მთავრობას და მომსახურების მიმწოდებლებს, როგორც **„უფლების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ“** მხარეებს.

უფლებებზე დაფუძნებული მომსახურება იგეგმება, ხორციელდება და ფასდება შემდეგი ექვსი ძირითადი სტანდარტის მიხედვით: 1. უფლებების განხორციელების ხელშეწყობა, 2. თანამონაწილეობა, 3. ინდივიდუალური შედეგები, 4. უკუკავშირი, 5. მომსახურების ხელმისაწვდომობა და 6. მომსახურების მართვა. ყველა მიმართულება მიზნად ისახავს ბენეფიციარის კონკრეტული უფლების რეალიზების ხელშეწყობას და გამოკვეთს მომსახურების მიმწოდებლის როლს ამ უფლების განხორციელებაში.

პროგრამა მუშაობს ორი ძირითადი მიმართულებით:

1. შესაბამისი პოლიტიკური, სამართლებრივი და საგანმანათლებლო გარემოს შემუშავება.
2. სოციალური მომსახურების მიმწოდებლების ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება არსებული სერვისების გაუმჯობესების ან/და ახალი სერვისების დაგეგმვის, დანერგვისა და შეფასების მიზნით.

2023 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები ორი მიმართულებით:

მიმართულების ძირითადი საქმიანობები

- სოციალური მომსახურების მიმწოდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება მათი სოციალური სერვისების შემუშავების, დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მიზნით
- შესაბამისი პოლიტიკური, სამართლებრივი და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება

შესაბამისი პოლიტიკური, სამართლებრივი და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება

2023 წელს, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული იყო ახალი ეროვნული სოციალური სერვისების პროგრამები (შინაგანი ზრუნვა, პირადი ასისტენტი და მცირე საოჯახო სახლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილთათვის). რამდენიმე მუნიციპალიტეტმა ასევე გამოხატა გაზრდილი ინტერესი ახალი სოციალური მომსახურების პროგრამების შემუშავებით იმის აღიარებით, რომ ექსკლუზიურად ფულადი დახმარება უმეტეს შემთხვევაში სპორადულია და იშვიათად არის ორიენტირებული შედეგზე. CSRDG აქტიურად უჭერს მხარს უფლებებზე დაფუძნებული და შედეგზე ორიენტირებული სოციალური სერვისების განვითარებას ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, ბენეფიციარების ჩათვლით.

სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის განმახორციელებელი საბჭოს წევრია. საბჭო მოქმედებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

იძულებით გადაადგილებულ პირთა, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან. საბჭო თავისი შესაბამისი 6 კომიტეტით, დაკომპლექტებული სამინისტროს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, სსო-სა და ბენეფიციართა მიერ, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალური მომსახურების პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში, ასევე ამ სფეროში რეგულაციებისა და განვითარების მიზნების განსაზღვრაში. საბჭოს წევრად მუშაობით, ჩვენ ხელს ვუწყობთ უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სტანდარტების ინტეგრაციას სოციალური მომსახურების ახალ პროგრამებსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში. 2023 წლის იანვარ-მარტში, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, CSRDG ექსპერტმა სოციალურ სერვისებში (სოციალური სერვისების განვითარების პროგრამის კოორდინატორი) გააანალიზა და გაუზიარა რეკომენდაციები ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. საქართველოს საქმეები სოციალური მომსახურების ეროვნული პროგრამებისა და სოციალური მომსახურების ხარისხის მონიტორინგის დოკუმენტების შესახებ, როგორიცაა: ა) „სახლში მოვლის მონიტორინგი“ ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილთა მცირე საოჯახო სახლების მინიმალური სტანდარტები; გ) სახლის მოვლის მომსახურების ხარისხის სტანდარტი (პროექტი 1 და 2) შესაბამისი დანართებით. და დ) შინმოვლის პროგრამა (სოფლის მოდელი). რეკომენდაციები კომიტეტის სხვა წევრებსაც გაუზიარეს. ჩვენ ასევე მივაწოდეთ ორ კომიტეტის წევრებს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პილოტირების ფარგლებში შემუშავებული მასალა, მათ შორის საქმის მართვის სახელმძღვანელო მითითებები და ფორმები, რომელთა ნაწილი შედის სახელმწიფო სახლის მოვლის ახალი პროგრამის სახელმწიფო ფორმებში. 2023 წლის განმავლობაში, აქტიური მონაწილეობით და ვორქშოფების ინიცირებით, CSRDG გახდა ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე შინმოვლის სამუშაო ჯგუფში, რომელიც აერთიანებს მთავრობასა და სამოქალაქო ორგანიზაციების დაინტერესებულ მხარეებს. 2024 წლიდან ის უხელმძღვანელებს ადვოკატირების კომპონენტს შინმოვლის ეროვნული პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, პროექტის ფარგლებში, რომელსაც მხარს უჭერს ავსტრიის განვითარების სააგენტო და ახორციელებს საერთაშორისო, ავსტრიული, ქართული და ბოსნიური ორგანიზაციების კონსორციუმი, მათ შორის CSRDG.

უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების 21 კრიტერიუმი მუნიციპალური პროგრამების შესაფასებლად შემუშავდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სტანდარტების საფუძველზე პროგრამის გუნდის მიერ. გაანალიზდა 6 მუნიციპალიტეტის სოციალური სერვისების პროგრამები და შესაბამისი რეკომენდაციები გაუზიარა ადგილობრივ, სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს, ასევე ბენეფიციარებით დაკომპლექტებულ მრავალ დაინტერესებულ ჯგუფებს.

გარდა პროგრამის შეფასებებისა, 2023 წლის განმავლობაში პროგრამის გუნდი მუშაობდა 7 მუნიციპალიტეტში ახალი, უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების პროგრამების შემუშავებაზე. ჩატარდა ტრენინგების სერია, სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები სოციალური მომსახურების ახალი პროგრამის დასაგეგმად. მასში მონაწილეობდა ქვემო ქართლის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტი

(ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, თეთრიწყარო, მარნეული და წალკა) და ერთი კახეთის (სიღნაღი). გაცნობითი ხასიათის შეხვედრების შემდეგ, ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები მოეწყო 7-ვე ლოკაციაზე, რათა გაეზიარებინათ სოციალური სერვისების ძირითადი პრინციპები, პრობლემების პრიორიტეტიზაცია და ძირითადი ბენეფიციარი ჯგუფები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პოტენციური სერვისის მიმწოდებელი სსო-ები და ბენეფიციარები მონაწილეობდნენ შეხვედრებში, სადაც განიხილეს დაუცველ სიტუაციებში მყოფი ადამიანების ძირითადი გამოწვევები და შესაძლო შესაბამისი სერვისები. სოციალური მომსახურების ახალი პროგრამის შემუშავება გაგრძელდა 6 მუნიციპალიტეტში, მარნეულის გამოკლებით, მრავალ დაინტერესებულ ჯგუფთან ერთად, რომლებმაც შეწყვიტეს მუშაობა მონაწილეობითი სოციალური მომსახურების დაგეგმვით. CSRDG სოციალური სერვისების ექსპერტები ხელს უწყობდნენ პროცესს და მხარს უჭერდნენ ახალი პროგრამების შემუშავებას შვიდი თვის განმავლობაში. 6 მუნიციპალიტეტიდან 4-მა სოციალური მომსახურების ახალი პროგრამები 2024 წლის ბიუჯეტში გააერთიანა. პროგრამები უნიკალურია არა მხოლოდ მათი შინაარსით, არამედ მათი სტრუქტურით, რადგან ის შეიცავს მეტ ინფორმაციას ბენეფიციართა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის მიზნით, ასევე უმაღლესი ხარისხის სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობისთვის. პროგრამები ასევე მოიცავს სამ ფენიან ინდიკატორებს და მონიტორინგის მონახაზს, რომელიც აფასებს 1. პროცესს, 2. შედეგების და 3. ბენეფიციარების კმაყოფილებას.

2023 წლის დეკემბერში ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების 8 მუნიციპალიტეტის 22 წარმომადგენლისთვის მოეწყო სამდღიანი ტრენინგი სოციალური სერვისების მონიტორინგისა და შეფასების, სოციალური მომსახურების შესყიდვის თემაზე. მონაწილეები ძირითადად იყვნენ მუნიციპალური მერიის სოციალური და ჯანდაცვის განყოფილებების ძირითადი პერსონალი. ტრენინგი მოიცავდა სოციალური სერვისების მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობის თემებს, ძირითად ინდიკატორებს, აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, სამ ფენის მონიტორინგს (პროცესი, შედეგი და ბენეფიციარების კმაყოფილება), სოციალური სერვისების აუთსორსინგი/შესყიდვა და ა.შ.

სოციალური მომსახურების მიმწოდებლების ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება არსებული სერვისების გაუმჯობესების ან/და ახალი სერვისების დაგეგმვის, დანერგვისა და შეფასების მიზნით.

2023 წლის ოქტომბერში CSRDG-მ ჩაუტარა ტრენინგი და შემდგომი კონსულტაცია სსო-ებს. ტრენინგი რომელსაც 14 მონაწილე დაესწრო, საჭიროებების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და ადვოკატირებას ეხებოდა.

ტრენინგზე განიხილეს შემდეგი თემები:

- უფლებებზე დაფუძნებული სოციალური სერვისები და მისი სტანდარტები - უპირატესობები და მნიშვნელობა

- დაუცველობა და ადამიანები დაუცველ სიტუაციებში
- პრიორიტეტების მატრიცა სერვისებისთვის სამიზნე ჯგუფების შესარჩევად
- საჭიროებების შეფასება
- ინტერვიუ - ძირითადი მოსაზრებები
- სოციალური ადვოკატირება და მონაწილეობა
- მონიტორინგი და შეფასება

ტრენინგს მოჰყვა 7 ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციასთან კონსულტაცია სოციალურ სერვისებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. დიდი ინტერესიდან გამომდინარე, CSRDG-მ მონაწილეებს გაუზიარა შემუშავებული მასალა.

2023 წლის შედეგები

- გაანალიზდა სოციალური მომსახურების მინიმალური სტანდარტები და სოციალური მომსახურების 3 ახალი პროგრამა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სტანდარტებთან მიმართებაში;
- შემუშავდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების 21 კრიტერიუმი მუნიციპალური პროგრამების შესაფასებლად, უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სტანდარტებზე დაყრდნობით;
- შემუშავდა 6 ახალი მუნიციპალური სოციალური მომსახურების პროგრამა და მათგან 4 ინტეგრირებულია 2024 წლის ბიუჯეტში;
- ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს ტრენინგი ჩაუტარდათ სოციალური სერვისების მონიტორინგსა და შეფასებაზე;
- ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სსო-ებისთვის ჩატარდა ტრენინგები და შემდგომი კონსულტაციები.

პროგრამის ძირითადი მიღწევები:

1. შეიქმნა სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის დამხმარე მონიტორინგი.
2. ჩატარდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების კვლევა;
3. შეიქმნა და გამოიცა ხანდაზმულთა და შშმ პირთა სოციალური მომსახურების შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების პაკეტები: ხარისხის მართვის სახელმძღვანელო, შემთხვევის მართვის სახელმძღვანელო, შეზღუდვის დოკუმენტი, სხვადასხვა ინსტრუმენტები და ორგანიზაციული სახელმძღვანელოები;
4. 7 მუნიციპალიტეტში მოხდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების პილოტირება. სოციალური მომსახურების მიმწოდებელ 8 ორგანიზაციას გაეწია მხარდამჭერი მონიტორინგი.
5. უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ინტეგრირდა სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში, შეიქმნა საკითხავი მასალა;

6. განხორციელდა სოციალური მუშაობის აღსრულების მონიტორინგი და საადვოკაციო კამპანია, გამოიცა 3 ჩრდილოვანი ანგარიში;
7. შეიქმნა და გამოიცა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სახელმწიფო სტანდარტი.
8. ჩატარდა უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების პირველი ეროვნული კონფერენცია.

წარმატებული ქეისი:

პროგრამის ძირითადი წარმატებაა ის ქვეყანაში რომ შექმნა უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების უნიკალური ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომია.

ბოლო წლების მანძილზე და განსაკუთრებით 2022 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მოხდა თემის აქტუალიზაცია და დისკუსიის პოლიტიკის დონეზე ატანა. პროგრამის ფარგლებში შექმნილი სხვადასხვა მასალა გამოიყენება ქვეყანაში სოციალური მომსახურების პროგრამების და მათი სტანდარტების დაგეგმვისას. სოციალური მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა დაიწყეს უფლებებზე დაფუძნებული მომსახურებებისთვის შექმნილი სხვადასხვა მასალის გამოყენება.

სხვადასხვა საგანში შეტანილი საკითხავი მასალის შედეგად, სოციალური მუშაობის მაგისტრატურის და ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტები ყოველწლიურად სწავლობენ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასთან დაკავშირებულ საკითხებს. სოციალური მუშაკებისთვის აღნიშნული მასალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ მიდგომით არის შესაძლებელი მოსარგებლეების სოციალური ფუნქციონირების ამაღლება და მათი უფლებების დაცვა, რაც ამ პროფესიის მთავარი მიზანია. სოციალური მუშაობის შესახებ კანონის აღსრულების სამი წლის ანგარიშებმა კი შექმნა მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც უნდა დაიგეგმოს შემდგომი ნაბიჯები კანონის საბოლოოდ ამოქმედებისთვის.

ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ხელშეწყობის მიმართულების სტრატეგიულ ამოცანას ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა წარმოადგენს. ორგანიზაციაში ამ მიმართულებაში სამი პროგრამა ერთიანდება: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, სოციალური მეწარმეობა და მომხმარებლის უფლებების დაცვა.

<u>კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)</u> - CSR კონცეფცია და პრაქტიკა ხელს უწყობს სოციალურ და გარემოსდაცვით კეთილდღეობას ყველა სექტორში. ბიზნეს კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია გაიაზრონ პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და აქტიური როლი შეასრულონ ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

<u>სოციალური მეწარმეობა (SE)</u> – სოციალური მეწარმეობის, როგორც ახალი მიდგომის განვითარება საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიისთვის, საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოსაგვარებლად. სოციალური მეწარმეობით შესაძლებელია სოციალური პრობლემების დაძლევა, რომლებიც არ არის ბიზნეს კომპანიების ინტერესების ყურადღების ცენტრში და რომელთა გადაწყვეტისთვის მთავრობაში არ არის საკმარისი რესურსი.
<u>მომხმარებელთა უფლებების დაცვა</u> - ეფექტურად მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმები. ბიზნესი უფრო პასუხისმგებელია მომხმარებლების მიმართ, ხოლო მოქალაქეები, როგორც მომხმარებლები, უფრო აქტიურად იცავენ საკუთარ უფლებებს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა

2004 წლიდან საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პროგრამას. ადგილობრივი ორგანიზაციებიდან იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა. საქართველოში CSR-ის კონცეფციის პოპულარიზაციისა და სხვადასხვა სექტორის ინფორმირების მიზნით ცენტრი ატარებს კვლევებს, საკომუნიკაციო კამპანიებს, ტრენინგებს, სემინარებს, დაინტერესებულ მხარეთა ფორუმებს და კონფერენციებს, აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე მსხვილ, საშუალო და მცირე კომპანიებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიასთან.

საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora

ეროვნული მასშტაბის კონკურსი, რომელიც CSRDG-ის მიერ 2018 წელს დაფუძნდა, ავჯილდოებს საქართველოში მოქმედ ბიზნეს კომპანიებს მათ მიერ განხორციელებული საუკეთესო პროექტებისა და ინიციატივებისათვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) სფეროში.

კონკურსი, რომელშიც დაარსებიდან 155-მდე კომპანიამ, 300-ზე მეტი CSR პროექტით მიიღო მონაწილეობა, მიზნად ისახავს საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას და პოპულარიზაციას. ასევე, კომპანიების წახალისებას, დანერგონ საკუთარ საქმიანობაში CSR პრინციპები და მიდგომები, გახდნენ სამაგალითო სხვებისთვის.

2023 წლის კონკურსში 66-მა კომპანიამ 88 განხორციელებული პროექტით მიიღო მონაწილეობა.

დაჯილდოების ცერემონია გაიმართა 2023 წლის 30 მაისს სასტუმრო ბილტმორში. ღონისძიებას 208 სტუმარი ესწრებოდა - მონაწილე კომპანიები, ჟიურის წევრები, დიპლომატიური კორპუსის, სსო-ების, მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნეს ასოციაციებისა და მედიის წარმომადგენლები (CSRDG თანამშრომლებთან ერთად სულ 221 ადამიანი). გამოცხადდა და დაჯილდოვდა 9 გამარჯვებული ყველა კატეგორიაში, მსხვილ კომპანიებსა და მცირე და საშუალო ბიზნესში. მასალები ატვირთულია მელიორას ვებგვერდზე.

2024 წლის 15 იანვარს გაიხსნა მელიორას დაჯილდოების ცერემონიის ახალი ციკლი, წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 20 თებერვალი. გაგრძელდა კომუნიკაცია მელიორას პარტნიორებთან და პოტენციურ სპონსორებთან. კომპანიებთან აქტიური კომუნიკაცია დაიწყო მათთვის დაჯილდოებაზე მონაწილეობის მოტივაციისთვის.

კონკურსი ყოველწლიურად კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებაზე ორიენტირებული ბიზნეს ასოციაციების, საერთაშორისო და ადგილობრივი საექსპერტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით მიმდინარეობს. 2023 წელს კონკურსის მხარდამჭერები იყვნენ: ბიზნეს ასოციაცია საქართველო, წლიური ანგარიში და გამჭვირვალობის ჯილდო (BARTA); BG ქართული ბიზნესისთვის, CCI Francaise en Géorgie, საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატა, Deutsche Wirtschaftsvereinigung - (DWV), ევროპის ბიზნეს ასოციაცია (EBA), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო , ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაცია, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია , შვეიცარიის კონფედერაცია, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია (GSMEA), საქართველოს ტურისტული ასოციაცია, საქართველოს პროფკავშირების კონფედერაცია, იტალიის საელჩო თბილისი, საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, World Wildlife. ფონდი: (WWF), სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ასოციაცია (SMEDA), საერთაშორისო სავაჭრო პალატა საქართველო (ICC), ინფრასტრუქტურის მშენებელი კომპანიების ასოციაცია (ICCA), ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო (EUGBC), ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში, ნარჩენების მართვის

ასოციაცია, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS), საქართველოს საბანკო ასოციაცია.

მედია პარტნიორები: Entrepreneus, Business Media Georgia, Georgia Today, 106.9FM Fortuna.

სპონსორები: Moore abc, სარაჯიშვილი, სასტუმრო ბილტმორი თბილისი და Enagram.

ძირითადი მიღწევები:

- 2023 წლის კონკურსში განაცხადების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, მასში 66-მა კომპანიამ 88 განხორციელებული პროექტით მიიღო მონაწილეობა.
- 2023 წლის კონკურსს დაემატა მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი მხარდამჭერი ორგანიზაცია და ბიზნეს ასოციაცია, რომელთა თანამშრომლობითაც გაიმართა კონკურსი.

CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი

2022 წელს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) ორგანიზებით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი დაფუძნდა. CSR ფორუმი, რომელიც სხვადასხვა სექტორთა წარმომადგენლების მიერ დაფუძნდა, CSR-ის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებზე დიალოგისა და თანამშრომლობის უნიკალურ პლატფორმას ქმნის.

CSR დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის პირველი სამუშაო სესია გაიმართა 2023 წლის 30 ივნისს, მას 44 მონაწილე ესწრებოდა და საკმაოდ წარმატებული იყო. საქართველოში CSR საჯარო პოლიტიკის რეკომენდაციებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრებმა - Audrone Alijosiute, Catherine Heaney, დავით მაისურაძე და გიორგი პაპავა - გააკეთეს პრეზენტაციები ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკაზე და ქართულ კონტექსტზე CSR-ის მხარდამჭერი საჯარო პოლიტიკის შესახებ. დისკუსია გაიმართა საქართველოში CSR-ის შესახებ საჯარო პოლიტიკის შესაძლო მიმართულებების ირგვლივ. დისკუსიის დროს მიღებული გამოხმაურება და გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებული იყო პოლიტიკის რეკომენდაციებში.

CSR დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის მეორე საკონსულტაციო შეხვედრა, რომელიც განკუთვნილი იყო პოლიტიკის რეკომენდაციების პირველი პროექტის განსახილველად, გაიმართა 13 ოქტომბერს. შეხვედრას პროკრედიტ ბანკმა უმასპინძლა მის შენობაში და ესწრებოდა 33 სხვადასხვა სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციის, ბიზნესის წარმომადგენელი. ასოციაციები, საგანმანათლებლო/აკადემიური დაწესებულებები და სახელმწიფო სექტორი.

2023 წლის განმავლობაში სამუშაო ჯგუფმა განაგრძო პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება. მთელი წლის განმავლობაში გაიმართა რამდენიმე საკოორდინაციო შეხვედრა.

3 აპრილს განიხილეს CSR დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის საკონსულტაციო სესიების განრიგი, ასევე პოლიტიკის რეკომენდაციების სტრუქტურა და შინაარსი.

31 მაისს ჯგუფი შეიკრიბა თბილისში, რომელშიც შედიოდნენ ქართველი წევრები ოდრინ ალიჯოსიუტე (რომელიც თბილისში იყო CSR მასტერკლასზე) და BiTC Ireland-ის აღმასრულებელი დირექტორი ტომას სერკოვიჩი, როგორც მოწვეული ექსპერტი, ხოლო ქეთრინ ჰინი შეუერთდა Zoom-ის საშუალებით. მათ განიხილეს პოლიტიკის რეკომენდაციების პირველი სამუშაო ვერსიის თემები და შინაარსი და 30 ივნისს დაგეგმილი CSR დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის სამუშაო სესიის დღის წესრიგი.

დამატებითი შეხვედრები გაიმართა 22 ივნისს, 27 ივნისს, 20 ივლისს და 15 სექტემბერს.

პარალელურად, CSR სპეციალისტმა ჩაატარა რამდენიმე ინდივიდუალური შეხვედრა სამუშაო ჯგუფის წევრებთან დოკუმენტის პირველი პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად.

საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის წევრებმა დაასრულეს პოლიტიკის დოკუმენტის ქართული და ინგლისური ვერსიები „ნაციონალური ჩარჩო CSR საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას“ ორივე დოკუმენტი აიტვირთა CSR Hub Georgia-ზე.

2023 წლის 13 დეკემბერს თბილისში, სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში გაიმართა შემუშავებული პოლიტიკის რეკომენდაციების პოლიტიკის დოკუმენტის საპრეზენტაციო ღონისძიება. ღონისძიებას 103 სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის CSRDG-ის გუნდი, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა სუბიექტის, მათ შორის კომპანიების, ბიზნეს ასოციაციების, საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციების, სამთავრობო უწყებებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისგან.

დოკუმენტის - საქართველოში CSR-ის ეროვნული ჩარჩოს პრეზენტაციის გარდა, მოეწყო პანელური დისკუსია საქართველოში CSR კულტურის განვითარებისა და სახელმწიფო დონეზე გასატარებელი მექანიზმების შესახებ.

ძირითადი მიღწევები:

CSR ფორუმი, რომელიც შთაგონებულია ევროპული ქვეყნების პრაქტიკით, არის საქართველოს წამყვანი ასოციაცია. მან ეფექტურად შეკრიბა დელეგატები სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და სამთავრობო უწყებებიდან და შექმნა საფუძველი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ერთობლივი წინსვლისთვის ქვეყნის შიგნით. CSR ფორუმის და თანმხლები პოლიტიკის დოკუმენტის ჩამოყალიბება წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს საქართველოში CSR-ის წინსვლისა და მისი ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად.

CSR ვებ პლატფორმა

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საინფორმაციო ცენტრი არის ონლაინ პლატფორმა, რომელიც შექმნილია CSRDG-ის მიერ. ის ემსახურება როგორც ცენტრალიზებულ სივრცეს, სადაც გროვდება ყოვლისმომცველი, განახლებული ინფორმაცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, მდგრადი განვითარებისა და პასუხისმგებელი ბიზნეს პრაქტიკის შესახებ, როგორც გლობალურად, ასევე საქართველოში. ეს პლატფორმა არის ერთადერთი საინფორმაციო ვებ პორტალი საქართველოში, რომელიც ეძღვნება კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას და კორპორატიულ მდგრადობას. ის უზრუნველყოფს მრავალფეროვან რესურსებს ამ რთული თემის ნავიგაციაში დასახმარებლად.

ვებგვერდის უპირველესი მიზანია ინფორმაციისა და რესურსების გაზიარება, ცოდნის პოპულარიზაციის ხელშეწყობა და CSR კონცეფციის პოპულარიზაცია ბიზნეს სექტორში და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. უფრო მეტიც, ის ცდილობს ჩამოაყალიბოს საქართველოში მდგრადი განვითარების პრინციპები და პასუხისმგებელი ბიზნეს პრაქტიკა. ვებ პლატფორმის csrgeorgia.com-ის მოვლა არის მიმდინარე პროცესი. CSR ვებ პლატფორმა რეგულარულად განახლდა. მომზადდა 12 პოსტი, რომელიც ასახავს გლობალურ და საქართველოში CSR სფეროში ტენდენციებსა და განვითარებებს, რომლებიც განთავსებულია სიახლეების განყოფილებაში. გარდა ამისა, შეიქმნა ვებ პლატფორმის CSR დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის ახალი განყოფილება. განყოფილება მოიცავს 4 შიდა გვერდს და მასპინძლობს CSR დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, როგორიცაა: ფორუმის დამფუძნებელი დოკუმენტები; ინფორმაცია ფორუმის წევრების შესახებ; შემუშავებული რეკომენდაციები; და ინფორმაცია გამართული შეხვედრის შესახებ.

ფასდაუდებელი რესურსების გარდა, ვებსაიტს აქვს CSR ბლოგი, რომელიც მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ. 2023 წელს, პლატფორმაზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე ახალი ამბების სტატია, რომელიც აქტიურად იყო გაზიარებული სხვადასხვა სოციალურ ქსელებში. გარდა ამისა, ეს ბლოგები, რომლებიც გავრცელდა CSR ბლოგზე, გაეგზავნა მის 400 აბონენტს, რითაც გააფართოვა ღირებული ინფორმაცია და პერსპექტივები კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში.

2023 წლის განმავლობაში საიტმა ვიზიტორებს შესთავაზა ღირებული ინფორმაცია კორპორატიული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტების შესახებ, რაც მათ დაეხმარა გაეფართოებინათ თავიანთი ცოდნა ამ სფეროში.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ

2023 წლის 20 დეკემბერს CSR უფროსმა ექსპერტმა ალტერ ბრიჯის უნივერსიტეტის მედია ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარა ლექცია „CSR და მედიის როლი“. ლექციას 17 სტუდენტი ესწრებოდა.

2023 წლის 5 ოქტომბერს ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგი (CSR და მედიის როლი) მედია ორგანიზაციების 10 წარმომადგენლისთვის, რომელთა კონცეფციები მეორე ტურში მოხვდნენ.

CSR გუნდმა შეიმუშავა კონცეფცია და მასალები CSR საგრანტო კონკურსისთვის მედიისთვის. კონკურსი გამოცხადდა 2023 წლის 11 მაისს.

სულ წარმოდგენილია იყო 13 კონცეფციის შენიშვნა, აქედან 7 შეირჩა მეორე ეტაპისთვის და მოწვეული იქნა სრული საპროექტო წინადადების წარსადგენად. 2023 წლის 14 დეკემბერს გაიმართა მედია გრანტების კომიტეტის სხდომა. განხილვის შემდეგ საბოლოოდ გამოვლინდა საგრანტო კონკურსის 4 გამარჯვებული, რომლებიც წარმოადგენენ სამ წამყვან ცენტრალურ მედიასა და 1 რეგიონულ მედიას. პროექტების განხორციელება 2024 წლის იანვარში დაიწყო.

პრობონო მიმართულება

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

კომპანიებისათვის პრო ბონო სერვისები, მათი სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას, კერძოდ კი, თანამშრომელთა მოხალისეობის (კორპორაციული მოხალისეობის) ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

პრო ბონო სერვისები კერძო სექტორის ექსპერტიზასა და ინტელექტუალურ რესურსებს ხელმისაწვდომს ხდის საზოგადოების საკეთილდღეოდ მომუშავე ორგანიზაციებისათვის. ამ გზით კომპანიები ეხმარებიან საზოგადოების იმ ჯგუფებს, რომელთა ინტერესებსაც ემსახურება და გამოხატავს ესა თუ ის სამოქალაქო ორგანიზაცია.

"საქართველოს პრო ბონო ქსელი" წარმოადგენს საქართველოში მოქმედი იმ ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების არაფორმალურ გაერთიანებას, რომელთაც სურთ საკუთარი ექსპერტიზისა და პროფესიული რესურსების გამოყენება საზოგადოების სასიკეთოდ. საქართველოს პრო ბონო ქსელის მიზანია კომპანიათა ექსპერტიზის ჩართვა საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებაში.

"საქართველოს პრო ბონო ქსელი" ოფიციალურად დაარსდა 2015 წლის ოქტომბერში "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" ინიციატივით ფონდ MitOst e.V., ფონდ BMW Herbert Quandt-ისა და ფონდ Taproot-ის თანადგომით.

ამჟამად ქსელში გაწევრიანებულია 28 კომპანია, რომელთა ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ აქ - https://bit.ly/39LewpX

პრო ბონოსა და საქართველოს პრო ბონო ქსელის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე: www.probonogeorgia.ge

პრობონო მარათონი

პრო ბონო მარათონი 2023 6 ივლისს 27 მონაწილესთან მრავალთვიანი მომზადებისა და კონსულტაციების შემდეგ გაიმართა. მარათონში მონაწილეობა

მიიღო რვა სხვადასხვა კომპანიის 14 პრო ბონო კონსულტანტმა და მოამზადა გრაფიკული საპრეზენტაციო ვიდეო 4 სსო-სთვის. ღონისძიების დასასრულს გაიმართა ვიდეო პრეზენტაციები.

პრობონო მედიაციები

საანგარიშო პერიოდში, CSRDG შუამავლობდა 28 პრობონო საქმეს. პრო ბონო სემინარები, მასტერკლასები, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციები სსო-ებისთვის, სათემო ორგანიზაციებისთვის, სათემო ჯგუფებისთვის, სოციალური საწარმოებისთვის შემდეგ საკითხებზე: ბუღალტერია და ფინანსები, იურიდიული, HR, მარკეტინგი და კომუნიკაციები, ტექნოლოგიები, ინტერიერის დიზაინი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 28 პრო ბონო პროექტი, რომელშიც ჩართული იყო 16 ბიზნეს კომპანია და 58 პროფესიონალი. საერთო ჯამში, 669 პრო ბონო საათი დაიხარჯა. შესაბამისად, 30-მა არაკომერციულმა ორგანიზაციამ (9 სსო,

10 CBO და 11 სოციალური საწარმო) მიიღო პრობონო მხარდაჭერა და გადაჭრა 41 პრობლემა.

მომზადდა პრობონო ნიუსლეთერის 6 ნომერი და გაეგზავნა საქართველოს პრო ბონო ქსელის წევრებს საანგარიშო პერიოდში (Newsletter#13, Newsletter#14, Newsletter#15, Newsletter#16, Newsletter#17, Newsletter#18).

CSR-ის მხარდაჭერა ბიზნესებს შორის (CSR სემინარები, მცირე და საშუალო ბიზნესებთან შეხვედრები)

მასტერკლასი - მდგრადი ბიზნესი: გლობალური დღის წესრიგის მართვა გაიმართა 2023 წლის 30 მაისს სასტუმრო ბილტმორ თბილისში. მასტერკლასს მელიორა 2022-ის მონაწილე კომპანიებიდან 45 ადამიანი დაესწრო. მასტერკლასის მომხსენებლები საუბრობდნენ მდგრადობის ბოლოდროინდელ ტენდენციებზე გლობალურ და ლოკალურ ჭრილში.

ასევე გაიმართა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ცნობადობის ამაღლების 10 განსხვავებული შეხვედრა.

2023 წლის 24 აპრილს გაიმართა შეხვედრა მცირე და საშუალო ბიზნესის მონაცემთა ანალიზის ლაბორატორიის დირექტორთან და კომუნიკაციის მენეჯერთან, რათა ეცნობებინათ მათ CSR-ის არსი და პრო ბონო მიმართულება, ასევე ჩვენი მიმდინარე საქმიანობა. შედეგად კომპანიამ პირობა დადო, რომ განიხილავდა პრობონო ქსელის მხარდაჭერის შესაძლებლობას და გადაწყვიტა დახმარებოდა მელიორა 2022-ის, გამარჯვებულებს უფასო სერვისის მიწოდებით.

ცნობადობის ამაღლების შეხვედრა მცირე საწარმო ნატურაფარმთან 11 ივლისს გაიმართა. CSR უფროსმა ექსპერტმა კომპანიის წარმომადგენლებს განუმარტა პასუხისმგებელი ბიზნეს ქცევის ძირითადი პრინციპები, როგორ უნდა განისაზღვროს ძირითადი გეგმა, ბიუჯეტი და როგორია CSR სტრატეგიის შემუშავების პროცესი. ცნობადობის ამაღლების მეორე შეხვედრა მცირე საწარმო ნატურაფარმთან 11 აგვისტოს ჩატარდა მათი მოთხოვნით, რათა დაზუსტებულიყო

გარკვეული საკითხები CSR თვითშეფასების და პასუხისმგებელი ბიზნესის გლობალური მოძრაობის შესახებ.

2023 წლის 22 დეკემბერს გაიმართა შეხვედრა თინაართ აკადემიის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განხილული იყო თინაართ აკადემიის CSR საქმიანობის შესაძლო მიმართულებები.

2024 წლის 31 იანვარი – გაიმართა შეხვედრა Hotsale-ის წარმომადგენელთან. განხილული იქნა CSR არსებული და შესაძლო სამომავლო საქმიანობა. შეხვედრის შედეგად Hotsale-მა გადაწყვიტა შეერთებოდა საქართველოს პრობონო ქსელს და გაეგზავნა განაცხადი მელიორას დაჯილდოების ღონისძიებაზე.

გარდა ამისა, CSR-ის შესახებ ცნობიერების ამაღლების შეხვედრები გაიმართა ვინტილატორ-თან (18 იანვარი), მწვანე ენერგიასთაბ (23 იანვარი), კლიპარტთან (24 იანვარი), აღმოაჩინე საქართველოსთან (25 იანვარი), Onesoft-თან (29 იანვარი), პოლივიმისთან (30 იანვარი).

მასტერკლასი/ღონისძიებები

2024 წლის 24 იანვარს გაიმართა საქართველოს პრო ბონო ქსელის ყოველწლიური ქსელური შეხვედრა. შეხვედრას სხვადასხვა კომპანიის 19 წარმომადგენელი ესწრებოდა. შეხვედრის მიზანი იყო 2023 წელს ქსელის წევრი კომპანიების მიერ განხორციელებული აქტივობების შეჯამება, სამომავლო გეგმების განსაზღვრა. მეორე წელია გაიმართა შიდა ქსელის კონკურსი, რომელმაც გამოავლინა პრო ბონო ლიდერი კომპანია და პრო ბონო ჩემპიონი თანამშრომელი (კომპანია და თანამშრომელი, რომელიც 2023 წელს ყველაზე აქტიური იყო პრო ბონო სერვისების მიწოდებაში). იაპონური პრობონო შუამავლის კომპანიის დირექტორი, რომელიც არის გლობალური პრობონო ქსელის იკუმა საგას წევრი, შეუერთდა შეხვედრას zoom-ის საშუალებით, რათა გაეზიარებინა ტოკიოში 2023 წელს გამართული გლობალური პრობონო სამიტის გამოცდილება და პრობონო გლობალური ტენდენციები.

წლევანდელ ღონისძიებაზე გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ:

• წლის პრო ბონო ლიდერი კომპანია – კრედო ბანკი

• წლის პრო ბონო საუკეთესო ჩემპიონი - ემ ბი სი - ის თანამშრომელი - მარი პაპუაშვილი

ასეთი აქტივობები ხელს უწყობს პრო ბონო ქსელის წევრებს, რომ მიიღონ მეტი პრო ბონო საქმე მთელი წლის განმავლობაში.

პრო ბონო ქსელი სათემო ორგანიზაციების მხარდასაჭერად

2023 წლის, ოქტომბერსა და ნოემბრის თვეში პრო ბონო მედიაციის კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდა, რომელიც ექვს ბიზნეს კომპანიასა და ექვს სამოქალაქო აქტივისტს აერთიანებდა. მედიაციის პროცესი კონკურსის "საუკეთესო სათემო ინიციატივა" ნომინანტების მომზადებას გულისხმობდა. კონკურსი ყოველწლიური ღონისძიების, „სათემო ლიდერთა ფორუმი"-ს შემადგენელი ნაწილია, რომელსაც 2015 წლიდან საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და

განვითარების ცენტრი მართავს.
სამოქალაქო აქტივისტები, დამსწრე საზოგადოების წინაშე მათ მიერ განხორციელებული ინიციატივებით წარდგნენ. პრო ბონო ქსელის წევრი და მეგობარი კომპანიის წარმომადგენლები კი დაეხმარნენ საინტერესო აქცენტების გამოყოფასა და პრეზენტაციების ორიგინალური ხერხით წარმოჩენაში.

პრო ბონო მედიაციის პროცესში აქტიურად ჩაერთო ექვსი კომპანია: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, კრედო ბანკი, ეიპიემ ტერმინალი, ემბისი და თეგეტა ჰოლდინგი.

ყველა კონკურსანტმა მიიღო საჩუქრები და სიმბოლური პრიზები სპონსორებისა და პარტნიორი კომპანიებისგან.

პროგრამის ზოგადი მიღწევები 2023 წელს:

- მეხუთედ გამოცხადდა 'საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora';
- შეიქმნა CSR-ის ხელშემწყობ სახელმწიფო ჩარჩო დოკუმენტზე მომუშავე საერთაშორისო ჯგუფი;
- მომზადდა არაერთი სატელევიზიო და რადიო გადაცემა პროგრამის საქმიანობის შესახებ;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საკომუნიკაციო კამპანია საქართველოს პრო ბონო ქსელისა და მისი საქმიანობის შესახებ;

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა ცენტრის სტრატეგიული პრიორიტეტია 2009 წლიდან სოციალური მეწარმეების მხარდაჭერით ჩვენ შეგვაქვს წვლილი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევების მდგრადი, სამეწარმეო გზით მოგვარებაში;

ჩვენ ვმუშაობთ სამოქალაქო, კერძო და სახელისუფლებო სექტორებთან კონცეფციის განვითარებისთვის, რადგან გვჯერა რომ სოციალური მეწარმეობა არის ეფექტური ინსტრუმენტი სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიის უზრუნველსაყოფად, და საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხოდ.

პროგრამის მიზანია:

მიზნის მისაღწევად ჩვენ ვმუშაობთ ორი სტრატეგიული მიმართულებით:

1. საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლიერება და ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა;
2. სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება

2023 წელს განხორციელებული საქმიანობები და მიღწეული შედეგები:

საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლიერება და ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობისთვის საქმიანობები მოიცავს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მორგებულ მექანიზმებს მოქმედი და დამწყები სოციალური საწარმოებისთვის.

მხარდაჭერის პროგრამაში საწარმოთა შერჩევა კონკურსის წესით ხორციელდება. შერჩეულ საწარმოებთან პროგრამის გუნდი 2-4 წლის მანძილზე მუშაობს.

2023 წელს პროგრამის ფარგლებში ვიმუშავეთ 28 სოციალურ საწარმოსთან, მათგან 6 საწარმო დაფინანსდა 2021 წელს, 3 სტარტაპი (ლურჯი ალავერდი, თანავე, ორბის ბუდე), და 3 განვითარების საწარმო (პოტერია, ეთნოდიზაინი, ბაბალე). 2022 წელს დაფინანსდა 10 სოციალური საწარმო, 6 სტარტაპი (რინგოვეტი, ლატლიიშდ, კომლი, სტემ-სფეისი, არჩივი, პროფესიო) და 4 განვითარების საწარმო (აგამა, კაფუნე, რედო, ჩემპი). 2023 წელს პროგრამაში დაფინასნებულ საწარმოებს დაემატა 9 სტარტაპ საწარმო (ნებულა, შემოქმედებითი ტურები, ფანტასმაგორია, ლიმენა, თანადგომა, ტექ-გოგო, ულევი, ამიგატო, რაშოვდა) და 5 განვითარების საწარმო (MHF ფეხსაცმელების საწარმო, ისტორიალი, ტენე, ჩემპი და ბაბალე (ბოლო 2 საწარმო გადმოვიდა აქციოს პორთფელში 2023 წელს)).

- სამიზნე სოციალური საწარმოების შერჩევა

2023 წელს საგრანტო კონკურსი გამოცხადდა ორჯერ:

- პროექტის "თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (Collaborate for Impact - development of social entrepreneurship and social investments towards economic and social cohesion in the Eastern Partnership)" ფარგლებში.

შერჩევის ციკლი შემდეგია:



კონკურსის შესახებ გამართულ საინფორმაციო შეხვედრებს დაესწრო 194 მონაწილე. ჯამურად შემოვიდა 52 აპლიკაცია, რომელთაგან დამოუკიდებელმა საგრანტო კომისიამ შეარჩია 12 იდეა. შერჩეულმა გუნდებმა გაიარეს ინტენსიური ტრენინგ პროგრამა, რომელსაც 87 მონაწილე (29 უნიკალური მონაწილე) დაესწრო. კონკურსის ბოლო ეტაპზე მომზადდა 9 სრული ბიზნეს განაცხადი, რომელთაგან 3-მმა მოიპოვა დაფინანსება.

#	საწარმო	პროექტის აღწერა	წელი
1	რაშოვდა	„რაშოვდას“ მისიაა მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ხელშეწყობა ზემო რაჭის მოწყვლადი მოსახლეობის გაძლიერების გზით. რაშოვდა ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ტურისტულ-ეკონომიკური საქმიანობის განვითარებითა და ინოვაციური, თემზე დაფუძნებული ტურისტული პრაქტიკის დანერგვით. პირველ ეტაპზე საწარმო ტურისტებს შესთავაზებს კვებით მომსახურებას (კაფე), რომელსაც სემდგომ დაემატება ღამისთევის მომსახურება.	2023
2	ულევი კერამიკა	სოციალური საწარმოს მისიაა ასაკის ნიშნით სტიგმატიზებული ადამიანების რესოციალიზაცია და ეკონომიკური გაძლიერება. „ულევი“ ქმნის ასაკობრივი სტერეოტიპებისგან თავისუფალ სივრცეს, კერამიკის საწარმოს, სოფელ მარტყოფში, სადაც ადგილობრივ, 60 წელს გადაცილებულ ადამიანებს შეასწავლის კერამიკის ხელოვნებას, უზრუნველყოფს მათ დასაქმებას და სოციალიზაციას.	2023
3	ამიგატო	„ამიგატო“ შეიქმნა ცხოველთა თავშესაფარ „ფეთიზის“ მიერ. სოციალური საწარმოს მისიაა მიუსაფარი კატების ცხოვრების დონის გაუმჯობესება სტერილიზაცია-კასტრაციისა და ამ საკითხზე მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების გზით. საწარმო დაამზადებს კატების საჭიროებებზე მორგებულ სხვადასხვა პროდუქტს, ხოლო მიღებულ თანხას მოახმარს მიუსაფარი კატების სტერილიზაცია-კასტრაციას, მოვლასა	2023

		და საზოგადოების ინფორმირებაზე მიმართულ ღონისძიებებს.	

მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის

2003 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა (CSRDG) და Basisbank - ბაზისბანკის თანამშრომლობას, რომლის მიზანიც საქართველოში მოქმედი ისეთი სოციალური საწარმოების გაძლიერებაა წარმოადგენს, რომლებიც მიზნად ისახავენ შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას საზოგადოებაში, მათი დასაქმების, განათლების და უნარების გაძლიერების შესაძლებლობების განვითარების გზით.

თანამშრომლობის ფარგლებში ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა გავუწიეთ სოციალურ საწარმოს M.H.F Shoes & Accessories.

სულ 2023 წლის მანძილზე სოციალურ საწარმოებზე გაცემული საგრანტო თანხამ შეადგინა **682,602** ლარი. სტარტაპებისთვის მხარდაჭერამ შეადგინა მინიმუმ **351,211** ლარი ხოლო განვითარების გრანტებმა **331,391** ლარი (მ.შ. **310,281** ლარი აქციოს პორთფელში მყოფი საწარმოებისთვის).

კონსულტაციები და მორგებული ტექნიკური დახმარება

პროგრამის ფარგლებში სოციალურ საწარმოებს ვაწვდით მათ საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ დახმარებას.

დაინტერესებულ ოციალურ მეწარმეებს შევთავაზეთ ტრენინგები: ეფექტური გაყიდვები, HACCP მოთხოვნები, ეფექტური პრეზენტაცია, შესავალი სოცმეწარმეობაში, სოციალური შედეგების დაგეგმვა და მართვა, მარკეტინგი, ფინანსების მართვა და სხვა.

სოციალური საწარმოებისთვის გაცემული 50-ზე მეტი კონსულტაცია კი მრავალფეროვნ თემატიკას მოიცავდა: ბიზნეს გეგმის დახვეწა, აღრიცხვიანობა და ფინანსების მართვა; კომუნიკაციების სტრატეგია, ბრენდინგი, პროდუქტის განვითარება და დიზაინი, სოციალური მედიის მართვა, ჰასპის მოთხოვნები და სხვ.

ტექნიკური მხარდაჭერის ღონიშძიებებში 400-ზე მეტმა სოცმეწარმემ და დაინტერესებულმა პიმა მიიღო მონაწილეობა.

სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუმჯობესება

სოციაური საწარმოების სამოქმედო გარემოს გაუნჯობესებისთვის საქმიანობა რამდენიმე მიმართლებით მიმდინარებს:

- ***სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში***

2023 წლის მარტში, ახალგაზრდებში, სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციის მიზნით, განახლებული ფორმატით მიმდინარე კონკურსის პირველი ეტაპი შეჯამდა და გამოვლინდა საუკეთესო ახალგაზრდა ელჩი, რომელიც გახდა ანა ახლოური, მცხეთა-მთიანეთიდან.

ღონისძიება გაიმართა ორბელიანების სასახლეში, საქართველოს პრეზიდენტის მასპინძლობით, რომელსაც ესწრებოდა ევროკავშირის ელჩი და 90-ზე მეტი სტუმარი ყველა სექტორიდან. ღონისძიებას და მთლიან კონკურსს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გამოვლენის ღონისძიებაზე დაანონსდა მეორე ნაკადის მიღება და დაიწყო საინფორმაციო შეხვედრები რეგიონებში(6 რეგიონში), რომელსაც 200-მდე ახალგაზრდა დაესწრო. კონკურსი კვლავ მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

200-ზე მეტმა ახალგაზრდამ გამოხატა ინტერესი გამოცხადებული კონკურსის მიმართ და შეავსო განაცხადი. სოციალური მეწარმეობის საზაფხულო სკოლა 25-მა მონაწილემ გაიარა. 21 საპროექტო განაცხადიდან კი შეირჩა საუკეთესო 6 პროექტი. მათ გადაეცათ ფინანსური მხარდაჭერა(700 ევრო). ელჩებმა 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით საკუთარი პროექტები განახორციელეს შემდეგ რეგიონებში: გურია, კახეთი, სვანეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი.

კონკურსის შედეგების შეჯამება და ფინალური ღონისძიება 2024 წლის თებერვალში დაგეგმილი, რომელზეც გამოვლინდება გამარჯვებული

ჩემი მიზანია, რომ ჩემს გარშემო მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ განათლების, გართობის , დასვენებისა და თავისუფალი დროის ორგანიზების მეტი შესაძლებლობა. " - ირაკლი ელჩი იმერეთში.

მსურს, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანამდე მივიტანო სოციალური მეწარმეობის იდეა, რათა მათ ეს ცოდნა ირგვლივ არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისთვის გამოიყენონ.- თეკლა, ქვემო ქართლიდან

სოციალური საწარმოების მე-4 B2B გამოფენა

2023 წლის 27 ოქტომბერს სოციალურ საწარმოთა რიგით მე-4 B2B გამოფენა გაიმართა.

გამოფენა მიზნად ისახავდა სოციალურ საწარმოებსა და ბიზნეს კომპანიებს, ასევე სხვადასხვა სექტორს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას, სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციასა და სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას საქართველოში.

ღონისძიების შედეგად:

- საზოგადოებას საკუთარი პროდუქცია და სერვისები წარუდგინა 49 სოციალურმა და მწვანე საწარმომ;
- გამოფენას ესტუმრა 600-ზე მეტი წარმომადგენელი 150-ზე მეტი ბიზნეს კომპანიიდან და ორგანიზაციიდან
- შედგა 200-ზე მეტი B2B შეხვედრა
- გაფორმდა 34 პარტნიორობის ხელშეკრულება, რომლის ჯამური ღირებულება 357 000 ლარზე მეტია.
- 9 სოციალურმა საწარმომ ერთმანეთთან თანამშრომლობის გეგმები დასახა.
- სოციალურმა საწარმოებმა 17 000 ლარზე მეტი პროდუქცია გაყიდეს.

2023 წლის ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ:

- „თიბისი ბიზნესისთვის“ - გამოფენის უნიკალური სპონსორი
- “თეგეტა გრინ პლანეტი” - თეგეტა ჰოლდინგის შვილობილი კომპანია - გამოფენის ოქროს სპონსორი და მწვანე საწარმოების წარმდგენი;
- სასტუმროების ქსელი „ინნ ჰოსფითალითი“ - ღონისძიების ოქროს სპონსორი;
- ალგი აუდიტი - ღონისძიების ვერცხლის სპონსორი
- სოკარი - ღონისძიების ვერცხლის სპონსორი

- European Fund for
- Southeast Europe (EFSE)-ს განვითარების პროგრამა - სოციალური საწარმოების ტექნიკური და ექსპერტული დახმარების მიმართულებას მხარდამჭერი.

გავლენის ფონდი აქციო

2021 წლიდან ცენტრის გუნდი აქტიურად მუშაობდა გავლენის ფონდის კონცეფციის განვითარებასა და გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების პოპულარიზაციის მიმართულებით. 2022 წელს კონცეფციამ საბოლოო სახე მიიღო და 22 ივნისს ფონდის "აქციო"ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართა. 2023 წელი გამორჩეულად აქტიური იყო გავლენის ფონდისთვის. აქციომ დამატებით მოიზიდა 1 გავლენის ინვესტორი და 2 გავლენის მხარდამჭერი, შესაბამისად ფონდს წლის ბოლოს მობილიზებული აქვს 87,000 დოლარის ოდენობის მხარდაჭერა 3 გავლენის ინვესტორისგან, 1 გავლენის პარტნიორისგან და 2 გავლენის მხარდამჭერისგან.

2023 წელს გავლენის ფონდ აქციოს პორტფელში 4-მა სოციალურმა საწარმომ მოიყარა თავი. ეს სოციალური საწარმოებია: ბაბალე, ისტორიალი, ტენე და ჩემპი.

გავლენის ფონდი სოციალურ საწარმოებს უწევს როგორც ტექნიკურ დახმარებას, ისე ფინანსურ მხარდაჭერას 50 ათასი ევროს ოდენობით. აღნიშნული მხარდაჭერის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია საწარმოების სოციალური გავლენისა და შედეგების შეფასება.

აღსანიშნვია, რომ აქციომ მნიშვნელოვნად გაზრდილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად (40 ათასი ევრო) შემოიტანა ინოვაციური, სოციალური საწარმოების საჭიროებებზე მორგებული, დაფინანსების მექანიზმი - 0%-იანი სესხი. ფონდის პორტფელში არსებულმა ოთხივე საწარმომ ისარგებლა შეთავაზებული სესხის მაქსიმალური ოდენობით (10,000 ევრო), ხოლო „ბაბალემ" პირველივე წელს დააბრუნა სესხის სრულის მოცულობა.

2023 წელს აქციოს პორტფელში მყოფი საწარმოებისთვის გრანტის სახით გაიცა 110,049 ევრო, ხოლო სესხის სახით 40,000 ევრო.

#	საწარმო	პროექტის აღწერა	წელი
1	ისტორიალი	სოციალური საწარმო ისტორიალი 2000 წელს ა(ა)იპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფუძნდა. საწარმოს მისიაა ქართული კულტურის მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის სექტორის ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა და ცნობადობის ამაღლება.დღეისათვის ისტორიალის კოლექცია 200-მდე დასახელების ნივთს აერთიანებს, რომლებიც შექმნილია ლითონმქანდაკებლობის (ვერცხლი, თითბერი, ბრინჯაო), კერამიკის და ტექსტილზე ბეჭდვის ტექნოლოგიებით. ისტორიალის სასაჩუქრე პროდუქცია მუზეუმების კოლექციებზე დაყრდნობით არის შექმნილი და ემსახურება	2023

		ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. აქციოსთან თანამშრომლობის შედეგად გარემონტდება და მოეწყობა ისტორიალის სახელოსნო, რომელშიც დასაქმდება 18 მოსწავლე/სტუდენტი აიმაღლებს ცოდნასა და უნარებს ლითონმქანდაკებლობისა და საჩამომსმხელო საქმიანობის მიმართულებით; შეიქმნება 2 ახალი კოლექცია და განვითარდება ლითონმქანდაკებლობის მასტერკლასების მომსახურება, რაც ხელს შუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ტრადიციული ქართული ხელობების მნიშვნელობისა და ისტორიულ-კულტურული ღირებულების შესახებ;	
2	ბაბალე	ბაბალე 2015 წელს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობელთა გაერთიანებამ დააფუძნა. საწარმო თავდაპირველად პროექტის სახით ფუნქციონირებდა. 2018 წლის ივლისის თვიდან კი არსებობს, როგორც „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" შპს "სოციალური საწარმო ბაბალე“. „ბაბალე“ 2 სივრცეს აერთიანებს - შემოქმედებით სახელოსნოს, სადაც დაუნის სინდრომის მქონე (დსმ) ახალგაზრდები სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენებით იღებენ განათლებას, საქმდებიან, ქმნიან პროდუქციას და სალონს - სადაც იყიდება ნამუშევრები. სოციალურ საწარმოში მზადდება ხის, კერამიკისა და ტექსტილის როგორც დეკორატიული, ისე გამოყენებითი ნივთები: ზარდახშები, საკანცელარიო ნივთები, ჩანთები, აქსესუარები, სხვადასხვა ფიგურები, სადღესასწაულო ნივთები და სხვა სახის პრაქტიკული, თუ დეკორატიული ნაკეთობები. მასობრივი წარმოების პროდუქციიდან გამორჩეულია ბაბალეს წინდები და სამზარეულოს აქსესუარები (სუფრა, წინსაფარი და ცხელის ასაღები). მომსახურების თვალსაზრისით, ბაბალე ტურისტულ ჯგუფებს სთავაზობს დეკორატიული ნივთების დამზადების ვორქშოპებს. აქციოს მხარდაჭერით ბაბალე გეგმავს ხის, კერამიკისა და ტექსტილის სახელოსნოების მოწყობას, რაც მას საშუალებას მისცემს, სწავლების პროცესში ჩართოს დაუნის სინდრომის მქონე მეტი ახალგაზრდა და ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას როგორც ადგილზე, ისე ძირითად შრომის ბაზარზე. პროექტის ფარგლებში ბაბალე შექმნის გამართულ, დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებულ არტთერაპიის, პროფორიენტაციისა და მხარდაჭერითი დასაქმების პროგრამებს;	2023

		არტთერაპიისა და პროფორიენტაციის პროგრამებს გაივლის 30 დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდა; სტაჟირების პროგრამას გაივლის 20 დსმ ახალგაზრდა; ბაბალეში დამატებით დასაქმდება 5 დსმ ახალგაზრდა, ხოლო ბაბალეს გარეთ - 10 ახალგაზრდა;	
3	ტენე	„ტენეს“ მისიაა გარემოს პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაა. ტენე პირველი ქართული USB სატენის ეკომეგობრული წარმოებაა, რომელიც წარმოების პროცესში ერთჯერადი მოხმარების მეორად პლასტმასას იყენებს. აქციოს ინვესტიციით ტენე შეძლებს საწარმოში არსებული ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებასა და გაფართოებას. შედეგად, გაიზრდება ტენეს ჩამბარებელი და გამანაწილებელი პუნქტების რაოდენობა, ხოლო პლასტმასას ჩაბარების შესაძლებლობა, თბილისთან ერთად, გაჩნდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.	2023
4	ჩემპი	„ჩემპის“ მისიაა გორის რაიონის საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა და უნარჩენო წარმოების განვითარება ინოვაციური ჯანსაღი სნექების წარმოების გზით. ჩემპი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს გამყოფ ხაზთან მცხოვრები ქალების დასაქმებას საწარმოში, ხოლო, მეორე მხრივ, ფერმერული მეურნეობების განვითარებას ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვის გზით. დამატებით, ჩემპი აქტიურად მუშაობს უნარჩენო წარმოების განვითარების მიმართულებით. აქციოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში ჩემპის დაგეგმილი აქვს როგორც ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება, ისე სოციალური შედეგების გაზრდა. საწარმო გეგმავს ახალი საშრობი დანადგარების შეძენას, რაც უზრუნველყოფს წარმადობის გაზრდასა და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე გაყიდვების გაფართოებას. დამატებით, მომდევნო 5 წლის მანძილზე საწარმოში გადამზადებას გაივლის 50-მდე ადამიანი, დასაქმდება 40-ზე მეტი ქალი, სტაჟირებას გაივლის 15-მდე ახალგაზრდა, პარტნიორი ფერმერების რაოდენობა გაიზრდება 35-მდე. ასევე, მეტად განვითარდება უნარჩენო წარმოება და გადამუშავდება 40,000 კილოგრმამდე ვაშლის ნარჩენი.	2023

საერთაშორისო კონფერენცია გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების შესახებ

2023 წელი აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ საქართველოში პირველად, 28-29 ივნისს, გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციებისი მასშტაბური, საერთაშორისო კონფერენცია „Impact in the Neighborhood“ გაიმართა. ღონისძიებას ვენჩურული ფილანთროპიის ევროპულ ასოციაციასთან (EVPA) პარტნიორობით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG,) გავლენის ფონდმა "აქციომ“ და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI) უმასპინძლა. ევროკავშირის მხარდაჭერილი ორდღიანი კონფერენცია მიზნად ისახავდა გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების ფართოდ გავრცელებული, საერთაშორისო მიდგომების წარმოჩენას, პოპულარიზაციასა და გამოცდილების გაზიარებას სოციალური მეწარმეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის. ღონისძიების სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, კონფერენციის სხვადასხვა ფორმატში დასწრებოდნენ თემატურ სესიებსა და პანელურ დისკუსიებს. ღონისძიების ფარგლებში, ასევე გაიმართა "Impact for Breakfast" შეხვედრა, სადაც გავლენის ფონდების ლიდერებმა, არაფორმალურ გარემოში, საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს ინვესტირების თანამედროვე მიდგომებითა და გრძელვადიანი დადებითი სოციალური გავლენის შექმნით დაინტერესებულ ბიზნეს ლიდერებს.

ღონისძიების მომხსენებლებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონებიდან წარადგინეს გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირებისა და სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემების მშენებლობისა და განვითარების წარმატებული მაგალითები, მათ შორის, კონფლიქტურ და რთულ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს მულტისექტორული პარტნიორობით, გრძელვადიანი მიდგომების შექმნის განსხვავებული გამოცდილება როგორც კორპორაციებთან და საფინანსო სექტორთან, ასევე, მუნიციპალიტეტებსა და საჯარო უწყებებთან; იმსჯელეს სოციალური მიზნების მქონე ბიზნესებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ახალი ბაზრების ათვისების, ასევე მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერების შესაძლებლობებსა და სამომავლო თანამშრომლობის გზებზე.

კონფერენციას 40-ზე მეტი ქვეყნიდან ესწრებოდა 200-მდე საერთაშორისო და ადგილობრივი სტუმარი - კორპორაციული და გავლენის ფონდების, გავლენის აქსელერატორების, ბიზნესისა და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, ასევე გავლენის ინვესტორები, კორპორაციული ფილანთროპიითა და სოციალური ინვესტირების საკითხებით დაინტერესებული პირები. ღონისძიების ოფიციალური მიღების თანამასპინძელი იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

კონფერენციის ფარგელბში დამატებით მომზადდა 13 ვიდეორგოლი, რომლებშიც ადგილობრივი და უცხოელი გავლენის ინვესტორები საუბრობენ აღნიშნული სფეროს განვითარების მნიშვნელობასა და და იმ დადებით სოციალურ და გარემოსდაცვით გავლენაზე, რომლებსაც გავლენის საინვესტიციო ფორნდები ქმნიან.

დამატებით, აქციოსა და გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა ვებგვერდი www.actio.ge , მომზადდა სტატიები და ვიდეორგოლები.

პროექტი: უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის

პროექტის მიზანია ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის განვითარება და შენარჩუნება გურიის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის. ა

პროექტი ხორციელდება საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის (CSRDG) ლიდერობით, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირსა და საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასთან ერთად.

პროექტის ხანგრძლივობა - 39 თვე; 2020 – 2024 წელი

ბიუჯეტი - 925,255 ევრო

დონორი ორგანიზაცია - ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

პროექტის ფარგლებში 2023 წლის ბოლოსთვის მიღწეული შედეგები:

- შეიქმნა **სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის 6 ცენტრი,** რომელთა მხარდაჭერითაც დასაქმდა 301 ადგილობრივი და 1628 სამუშაოს მაძიებელმა მიიღო მისთვის საჭირო მომსახურება - სწავლება, გადამზადება, გადამისამართება, დასაქმებისთვის საჭირო სხვა უნარ - ჩვევების შეძენა.
- დაფინანსდა **შრომითი ინტეგრაციის მიზნის მქონე 6 სოციალური საწარმო,** სადაც ნაკლებად კონკურენტუნარიანი 32 ადამიანის დასაქმებით ხელი შეეწყო მათ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე.
- სამიზნე რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად დაფინანსდა 2 **ბიზნესპროექტი** და დასაქმდა 14 ადგილობრივი;
- 28+6 სკოლაში ამოქმედდა **„იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია“**, სადაც 737+87 -მა მოსწავლემ მიიღო და გაიღრმავა ცოდნა სხვადასხვა პროფესიის შესახებ, შეიძინა სამეწარმეო უნარ-ჩვევები.
- 5 **პროფესიულ სასწავლებელთან** მიმდინარეობდა თანამშრომლობა მათი ორგანიზაციული გაძლიერების მიზნით.

სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები (LESC)

LESCs განთავსებულია საქართველოს 3 რეგიონის 6 ქალაქში, კერძოდ, გურიაში - ოზურგეთსა და ჩოხატაურში; ქვემო ქართლში - ბოლნისსა და თეთრიწყაროში; კახეთში - თელავსა და ლაგოდეხში. ცენტრები ადგილობრივ სამუშაოს

მაძიებლებს სთავაზობს კომპლექსურ და საჭიროებაზე მორგებულ მომსახურებებს (კარიერული კონსულტირება, პროფესიული ცოდნის შეძენას და დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება; პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია და დისტანციურად დასაქმების შესაძლებლობების მოძიება) და ქმნის ინოვაციურ, ინკლუზიურ დასაქმების შესაძლებლობებს სექტორთაშორისი თანამშრომლობის გზით.

LESC-ების მიერ შეთავაზებულია დაფინანსებული ტრენინგკურსები 4 მიმართულებით: საკუთარი ბიზნესის წამოწყების მსურველებისთვის სამეწარმეო უნარების კურსი; სამუშაოს მაძიებლებისთვის დასაქმებისთვის საჭირო უნარების კურსი; საოფისე პროგრამების კურსი; ფრილანსერობით/დისტანციური დასაქმებით დაინტერესებულთათვის კურსი.

საანგარიშო წელს, სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრებმა (LESCs) მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს სამუშაოს მაძიებელთათვის შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული უნარების გაძლიერებისა და მათ პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირების მიმართულებით. ცენტრებმა ბენეფიციართა მნიშვნელოვან რაოდენობას გაუწიეს დასაქმების მხარდაჭერის მომსახურება და მოახერხეს რეალური შედეგების მიღწევა, რასაც არაერთი წარმატების ისტორია ადასტურებს.

სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების საქმიანობის შედეგად, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის:

- მომსახურება გაეწია 1628 პირს;
- ტრენინგებს დაესწრო 1200ზე მეტი ადამიანი;
- დასაქმდა 301 ადამიანი;
- ჩატარდა 34 სრული კურსი;
- „ბექას სკოლასთან" თანამშრომლობით 75-ზე მეტმა ადამიანმა გაიარა ინგლისურ ენაში მომზადება;
- „გოეთეს ინსტიტუტმა" გერმანული ენის კურსებზე უფასოდ დაუთმო ადგილი ჩვენს 4 ბენეფიციარს;

შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმო (WISE):

სამიზნე რეგიონებში მოწყვლადი ჯგუფებისთვის დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნის მიზნით საგრანტო კონკურსის შედეგად 6 სოციალური საწარმო დაფინანსდა,ლურჯი ალავერდი, ორბის ბუდე, რედო, პრეფესიო, თანავე, ტექგოგო, თითოეული 14 000 ევროს ოდენობით.

საანგარიშო წელს, საგრანტო კონკურსის ფარგლებში მხარდაჭერილი სოციალური საწარმო:

- „ტექ-გოგო" - პირველი ციფრული სოციალური საწარმო.

„ტექგოგო“ სოციალური საწარმოების ეკოსისტემაში პირველი უნიკალური მოდელის მქონე ციფრული სააგენტოა, რომლის მიზანს ქვემო ქართლში ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, განათლებაზე ხელმისაწვდომობა და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ციფრული პროფესიების დაუფლების ხელშეწყობა წარმოადგენს. „ტექგოგო“ აერთიანებს ციფრულ სკოლასა და სააგენტოს, რომლის მისიაა დასაქმების ბაზარსა და ციფრული პროფესიული განათლების სივრცეში თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა. საწარმოში 12 ქალმა/გოგომ ისწავლა და ისინი 6 თვის განმავლობაში მენტორებმა გადაამზადეს გრაფიკული დიზაინის/UX, სოციალური მედია მენეჯმენტისა და ციფრული მარკეტინგის მიმართულებით. პროექტის მონაწილეები მარტოხელა დედები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი გოგონები არიან, რომლებმაც უარი თქვეს ადრეულ ქორწინებაზე, ისწავლეს ქართული ენა და განათლების მიღებას აგრძელებენ.

წინა წლებში დაფინანსებულმა საწარმოებმა განიცადეს გარკვეული პროგრესი:

- “ორბის ბუდე” - კონსულტაციები საწარმოს ბრენდინგისთვის დასრულდა მარტში. „თეგეტას“ მხარდაჭერით შეიქმნა აქტიური Facebook გვერდი. ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, მოწვეული ექსპერტის დახმარებით, შემუშავდა 3 აგრო ტური, ხოლო 6 გიდი გადამზადდა უსაფრთხოების სტანდარტებზე. საწარმო ოფიციალურად მაისში გაიხსნა და 50-ზე მეტ სტუმარს უმასპინძლა. ამჟამად, „ორბის ბუდე“ მუშაობს სატესტო რეჟიმში და ამ დრომდე, დაასაქმა ადგილობრივი მოსახლეობა პურის მცხობლის, ყველის მწარმოებლისა და აგრო ტურის გიდის პოზიციებზე.
- “პროფესიო” - საწარმო გაიხსნა ივნისში და უმასპინძლა ახალგაზრდების მიერ ორგანიზებულ 10-მდე მუსიკალურ და კულტურულ აქტივობას. დაასაქმა 6 ახალგაზრდა, მათ შორის 2 სტაჟიორად. 5 დასაქმებული სამიზნე ჯგუფების წარმომადგენელია. ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, მოწვეული ექსპერტის დახმარებით, საწარმოსთვის შეიქმნა ბრენდბუქი.

საანგარიშო წელს, საწარმოებში დასაქმდა 23 ადამიანი, რამაც ჯამურად სოციალურ საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი 32 მდე გაზარდა.

საგრანტო კონკურსი ბიზნეს კომპანიებისთვის

CSRDG-მ ამ საანგარიშო პერიოდშიც გააგრძელა სექტორთაშორისი თანამშრომლობის სტიმულირებისა და მხარდაჭერის მიზნით გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული ბიზნესპროექტების მხარდაჭერა.

- **სოფტლაბი** - პროექტს ახორციელებს კომპანია „სოფტგენი“, რომელიც თბილისში, პროგრამული უზრუნველყოფების შემუშავების სფეროში ოპერირებს. პროექტი მიზნად ისახავს გურიაში IT სპეციალისტების აღზრდას, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან როგორც ქართულ,

ასევე უცხოურ ბაზარზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, სოფტლაბის საგამოცდო და სასწავლო პროცესისთვის გამოიყო შესაბამისი აუდიტორიები. ტექნიკურად აღიჭურვა ტექნოპარკის ერთი სამუშაო სივრცე, სადაც ის მოსწავლეები ესწრებიან პროგრამირების გაკვეთილებს, რომლებსაც სახლში არ აქვთ გაკვეთილზე დასწრებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. სწავლა დაიწო 64-მა მსურველმა. ერთწლიანი სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სოფტგენმა დაასაქმა 8 მათგანი.

- **ენების ლაბორატორია** არის თანამედროვე სტანდარტების, უცხო ენების სწავლების ცენტრი. პროექტი მიზნად ისახავს ქვემო ქართლში, რუსთავში თანამედროვე სტანდარტების სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს ჰქონდეს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას, ეკონომიკურ გაძლიერებასა და კარიერულ განვითარებას. გარდა ამისა, კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ენების ლაბორატორიამ, ინგლისურ ენაში გადაამზადა ძალადობის მსხვერპლი 3 ქალი, სოციალურად დაუცველი 7 ბავშვი, ხოლო ობოლი და მზრუნველობამოკლებული მოზარდების ინგლისურ ენაში გადამზადებასთან დაკავშირებით შეთანხმების პროცესი აწარმოვა საქართველოს კარიტასთან, რომლის შედეგადაც 10 მოზარდს უსასყიდლოდ შეასწავლა ინგლისური ენა. დასაქმებულია 6 ადამიანი.

იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია (IEL)

პროექტის ამოცანების უზრუნველსაყოფად, სამიზნე რეგიონების სკოლებში შექმნილია მეწარმეობისა და კარიერის განვითარების კლუბები, რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობენ სამეწარმეო უნარების განვითარების პროგრამებს. პროექტის ფარგლებში 28 +6 სკოლაში ამოქმედდა „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია“, სადაც ჩართული არიან მოსწავლეები 12 წლის ასაკიდან. მათი მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეების იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც აუცილებელია მომავალი პროფესიების სწორად შერჩევის, წარმატებული კარიერის დაგეგმვისა და წარმართვისათვის. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კლუბების წევრთა რაოდენობა შეადგენს **737+87.**

მიმდინარე საანგარიშო წელს გამოიკვეთა და დაფინანსდა პარტნიორი სკოლების კიდევ **70 დამოუკიდებელი ინიციატივა,** რომლებიც მიმართულია სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების, პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებისა და მშობლების ჩართულობის გაზრდისკენ. აღნიშნულ პერიოდში, პარტნიორი სკოლების „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიების“ წევრების მონაწილეობით, განხორციელდა **19 შეხვედრა** განსხვავებული პროფესიების წარმომადგენლებთან, საუკეთესო სამეწარმეო პრაქტიკის გაცნობისა და პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. მცირე საგრანტო

კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა **13 პროექტი,** რომელთა მონიტორინგიც უკვე განხორციელდა. პროექტის მეორე ეტაპზე დაფინანსებული 10 პროექტი დასრულდა.

ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში, 18 პარტნიორ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან ინდივიდუალური კონსულტაციების შედეგად, საბოლოოდ განისაზღვრა „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიების“ მდგრადობის ხედვა. სკოლების უმეტესი ნაწილი, მომდევნო სამი წლის განმავლობაში, გეგმავს შეინარჩუნოს პროექტის ფარგლებში დანერგილი საკლუბო მუშაობის ფორმატი. ასევე, გეგმავენ საკლუბო მუშაობის პირველ ეტაპზე გაძლიერებული მოზარდები მეტი ინტენსივობით ჩართონ ფასილიტაციის პროცესში. ამგვარი მიდგომით, მეტად გაძლიერდება თანატოლგანმანათლებელთა პრაქტიკა, ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოზარდთა თვითმმართველობის ორგანოს ამოქმედებას.

23-29 აპრილს YPU-ს ინიციატივითა და CSRDG-ის ჩართულობით განხორციელდა საგანმანათლებლო ტური ბელგიაში, რომლის მიზანს სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარების, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის დანერგვის სერვისების პრაქტიკის მხარდამჭერი სერვისების გაცნობა წარმოადგენდა.

2023 წელს გაიმართა 3 რეგიონული და 1 ეროვნული კონფერენცია, დაინტერესებული მხარეებისთვის პროექტის შედეგებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. რომელსაც ჯამში 317 ადამიანი დაესწრო.

გამოიცა სახელმძღვანელო „როგორ დავნერგოთ სამეწარმეო განათლება და კარიერული დაგეგმვა პროფესიული ორიენტაცია სკოლაში“ და გზამკვლევი ზოგადი განათლების საფეხურისთვის „საპროექტო იდეები სამეწარმეო კომპეტენციის განვითარების და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისთვის“. აღსანიშნავია, რომ განათლების სამინისტრომ ორივე გამოცემა გამოაქვეყნა სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით შექმნილ ვებპორტალზე EL.Ge, რაც ხელს შეუწყობს მის გავრცელებასა და ფართო გამოყენებას.

პროფესიული სასწავლებლები (VET)

სამიზნე რეგიონების 5 პროფესიულ სასწავლებელთან მიმდინარეობს თანამშრომლობა და მათი ორგანიზაციული განვითარების მხარდაჭერა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროგრამების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

მიმდინარე წელს CSRDG-მ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწია პროფესიულ სასწავლებლებს. იანვარი-აპრილის პერიოდში, მისი დახმარებით, მარნეულის სამედიცინო კოლეჯმა შეიმუშავა მოკლევადიანი პროფესიული პროგრამა

„საგანმანათლებლო პროცესის მართვა სკოლამდელ დაწესებულებებში“. პროგრამამ გაიარა ავტორიზაციის პროცესი.

საანგარიშო პერიოდში CSRDG მარნეულის სამედიცინო კოლეჯს „IT მხარდაჭერის სპეციალისტი“-ს პროგრამის შემუშავებაში დაეხმარა. პროგრამამ გაიარა ავტორიზაციის პროცესი.

20 აპრილს კოლეჯ „აისთან“ გაიმართა საჭიროებების შეფასების შეხვედრა, სადაც გამოიკვეთა კოლეჯის ბრენდბუქის შექმნაში მხარდაჭერის საჭიროება. კონსულტანტების დახმარებით შემუშავდა აღნიშნული დოკუმენტი, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას სამიზნე აუდიტორიასთან.

წარმატების ისტორიები:

2023 წელს ევროკავშირმა მოამზადა 3 ვიდეო პროექტის „უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის ფარგლებში“ გამორჩეული წარმატებული ინიციატივების შესახებ:

1. ტექ გოგო - სოციალური საწარმო იხ. ვიდეო
2. ორბის ბუდე - სოციალური საწარმო იხ.ვიდეო
3. ია თავდიშვილი - ფრილანსერი იხ. ვიდეო

ამასთანავე პროექტის დახურვის ღონისძიებისთვის, რომელიც გაიმართა 2023 წლის 1 დეკემბერს მომზადდა შემაჯამებელი ვიდეო, სადაც ასახულია ამ პერიოდისთვის მიღწეული შედეგები.

მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, მომხმარებლის უფლებების დაცვის თემაზე მუშაობა 2009 წელს დაიწყო. მიმართულების მიზანი საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაა.

მიმართულების ძირითადი საქმიანობები

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მომხმარებლის უფლებების მიმართულებით
- სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი
- მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირება
- მომხმარებელთა კონსულტირება და იურიდიული დახმარება.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მომხმარებლის უფლებების მიმართულებით

პროგრამამ მოამზადა 2 ონლაინ ქვიზი, რომლებიც სურსათის უვნებლობისა და სურსათის ეროვნული სააგენტოსადმი მოქალაქეთა მიმართვებს ეძღვნებოდა. ქვიზები გამოქვეყნდა ონლაინ პლატფორმაზე on.ge.

საკუთარ ვებსაიტსა და ფეისბუქის გვერდზე momxmarebeli.ge პროგრამამ მომხმარებლის უფლებების დარღვევის შესახებ 77 სიახლე გამოაქვეყნა. აღნიშნული დარღვევები გამოვლენილი იყო როგორც თავად პროგრამის, ისე სხვა სანდო ორგანიზაციების მიერ, მათ შორის იყო, მავნე სამომხმარებლო პროდუქციის გამოვლენის შემთხვევები.

სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე პროგრამამ ჩაატარა 13 სემინარი შემდეგ ქალაქებში: თელავი, სიღნაღი, გურჯაანი, გორი, ქუთაისი, ხარაგაული, თერჯოლა, ბათუმი, ზუგდიდი, ლანჩხუთი, ოზურგეთი. სემინარებს, მთლიანობაში 382 ადამიანი დაესწრო არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებიდან, საინიციატივო ჯგუფებიდან, მედიიდან, კომერციული ორგანიზაციებიდან, ადგილობრივი ხელისუფლებიდან და საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

პროგრამამ მედიის წარმომადგენლებისათვის ორდღიანი სემინარი ჩაატარა. სემინარი ეძღვნებოდა ქვეყანაში სურსათის უვნებლობის მდგომარეობას, სახელმწიფო კონტროლსა და მთავარ გამოწვევებს. სემინარს 18 მედიასაშუალების 20 წარმომადგენელი დაესწრო.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირებისა და გამოწვევების შესახებ პროგრამამ 2 სემინარი ჩაატარა რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. სემინარებს, ჯამში 24 ორგანიზაციის 30 წარმომადგენელი დაესწრო.

პროგრამის დაკვეთით, კვლევითმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს სურსათის უვნებლობასთან და ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები. კვლევის ანგარიში მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების, სურსათის უვნებლობის სფეროში მომუშავე დონორი, საერთაშორისო, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციების მიმართ, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებისა და მონაწილეობის გასაზრდელად.

კვლევის ანგარიშები გამოქვეყნდა პროგრამის საიტზე momxmarebeli.ge, დაიბეჭდა (200 ეგზემპლარი ქართულად და 60 ეგზემპლარი ინგლისურად), დაურიგდა შესაბამისი პროფილის სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ასევე, კვლევის შედეგები საჯაროდ წარედგინა დაინტერესებულ მხარეებს. პრეზენტაციას 51 ადამიანი დაესწრო.

პროგრამა სისტემატურადაა მედიის ყურადღების ქვეშ. მისი საქმიანობა ხშირად შუქდება ან პროგრამის თანამშრომლებს კომენტარების გაკეთებას სთხოვენ მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. 2023 წლის მანძილზე 80 ასეთი გაშუქება აღინუსხა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში მოქმედ ტელევიზიებში, რადიოებში, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში.

სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი

დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, მოქალაქეთა შემოწირულობებითა და საკუთარი სახსრებით, CSRDG-იმ და მისი პროექტის პარტნიორმა რეგიონულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა სასურსათო პროდუქტის 334 ნიმუში შეამოწმეს, ნაწილი ლაბორატორიულად, ხოლო ნაწილი ვიზუალურად - ეტიკეტები და შენახვის პირობები. გამოვლინდა სურსათის უვნებლობის, ან ეტიკეტირების მოთხოვნების 27 დარღვევა, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მიეწოდათ შესაბამის მეწარმეებს ან/და სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ასევე, ინფორმაცია გამოქვეყნდა პროგრამის ვებსაიტსა და ფეისბუქის გვერდზე.

პროგრამამ გააგრძელა სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) მიერ განხორციელებული კონტროლის შედეგების გამოქვეყნებაზე დაკვირვება და შემდეგი ხარვეზები გამოავლინა:

- სეს-ს კვლავ არა აქვს საფრთხის შემცველი პროდუქციის შესახებ საჯარო გაფრთხილებების გამოქვეყნების პრაქტიკა.
- კონტროლის კვარტალურ და წლიურ შედეგებში სეს-ს არ გამოუქვეყნებია 2019-2021 წლების ასობით კონტროლის შედეგი. CSRDG-ის მიმართვის შემდეგ, 2019 და 2021 წლების მონაცემები გამოქვეყნდა, თუმცა, 2020 წლის მონაცემები არც გამოქვეყნებულა და არც ხარვეზის მიზეზები ახსნილა.

პროგრამამ ასევე გააგრძელა იმის მონიტორინგი, თუ როგორ მიმდინარეობს რძის ნაწარმის ფალსიფიკაციის (მცენარეული ცხიმის გამოყენებით) შემთხვევების გამოძიება და მივიდა დასკვნამდე, რომ, პროგრესის მიუხედავად, ამ მიმართულებით საჯარო უწყებების მიერ გაწეული ძალისხმევა არ არის საკმარისი. ამაზე მოწმობს პროგრამის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევებიც, რომელთა შედეგადაც 20-დან 5 ნიმუშში მცენარეული ცხიმი გამოვლინდა.

რეგიონულ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, პროგრამამ განახორციელა მონიტორინგის კამპანია „რძესა და რძის ნაწარმთან დაკავშირებული უვნებლობის საფრთხეები და სახელმწიფო კონტროლი საქართველოში“. ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომლის ინსტრუმენტებსაც, ინტერვიუებთან და დოკუმენტაციის შესწავლასთან ერთად, სურსათის ლაბორატორიული კვლევები და ვიზუალური დაკვირვებაც (ეტიკეტირება, შენახვის პირობები) შეადგენდა, რაზეც ზემოთაც აღინიშნა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რძისა და რძის ნაწარმის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მასშტაბები მეტად შეზღუდულია.

კვლევის ანგარიში მოიცავს ფართო სპექტრის რეკომენდაციებს საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების, სურსათის უვნებლობის სფეროში მომუშავე დონორი, საერთაშორისო, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციების მიმართ.

ძირითადი მიღწევები

CSRDG-ისა და მისი პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ გამოვლენილი დარღვევების თაობაზე სეს-ის შეტყობინებების შედეგად ამ უკანასკნელმა შესაბამისი ბიზნესოპერატორების კონტროლი განახორციელა, 16 დარღვევა გამოავლინა, მეწარმეებს მათი გამოსწორება დაავალა და კანონით გათვალისწინებული სანქციები დააკისრა.

გარდა ამისა, CSRDG-ის პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების მითითებების შედეგად სავაჭრო ობიექტებმა თავად გამოასწორეს სურსათის უვნებლობისა და ეტიკეტირების 8 დარღვევა.

მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირება

ზემოთა ქვეთავებში აღნიშნული კვლევის ანგარიშები მოიცავს ფართო სპექტრის რეკომენდაციებს ქვეყანაში სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მათ შორისაა საკანონმდებლო ცვლილებებიც. რეკომენდაციები განხილულია შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ და იმედია, ამა თუ იმ ფორმით გათვალისწინებული იქნება სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას.

მომხმარებელთა კონსულტირება და იურიდიული დახმარება

სხვადასხვა სამართლებრივ, თუ არასამართლებრივ საკითხებზე პროგრამამ მოქალაქეებს 124 კონსულტაცია გაუწია, რაც დაეხმარა მათ საკუთარი, როგორც მომხმარებლების უფლებებისა და ინტერესების დაცვაში.

<u>ღია მმართველობის ხელშეწყობის მიმართულების</u> - ამოცანაა ღია და საჭიროებებზე დაფუძნებული მმართველობის დასამყარებლად, მთავრობისა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. არსებული ამოცანების სრულყოფისათვის ორგანიზაციაში ორი პროგრამის ფარგლებში ვმუშაობთ, ესენია - კარგი მმართველობის და ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამები.

<u>კარგი მმართველობა</u> - ადგილობრივი თვითმართველობების მიერ გამჭირვალობის, ანგარიშვალდებულების და მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება მართვის პროცესში.

<u>ევროინტეგრაციის ხელშეწყობა</u> - საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების უკეთ იდენტიფიცირების, მონიტორინგის და ადვოკატორების კუთხით.

კარგი მმართველობის ხელშეწყობა

ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ადგილობრივ აქტივისტთა ჯგუფების მხარდაჭერის გზით, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება და სამოქალაქო კულტურის ფორმირება.

1998 წლიდან აქტიურად მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის საკითხებზე ვმუშაობთ. მრავალწლიანმა საქმიანობამ, არაერთმა განხორციელებულმა ინიციატივამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საქმეში. შესაბამისად, კარგი მმართველობის ხელშეწყობის პროგრამა ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა.

პროგრამის ძირითადი საქმიანობა

ჩვენი ექსპერტების მიერ მომზადებული პრაქტიკული ხასიათის კვლევები და დიაგნოსტიკური ანგარიშები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა თვითმმართველი ერთეულების ფისკალური გამჭვირვალობისა და პროგრამულად ხარჯების აღწერა/აღრიცხვიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების დანერგვა/იმპლემენტაცია, მუნიციპალური ქონების ფორმირებისა და განკარგვის პროცესში მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობების დამკვიდრება, დემოკრატიული მმართველობის ინოვაციური სისტემების შემოღება, ქვეყნის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ხელშეწყობა და შემდგომი განვითარება, ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ზრდა და სხვა. პროგრამის ფარგლებში მომზადებული კვლევებისა და რეკომენდაციების საშუალებით ვეხმარებით ცენტრალურ და ადგილობრივ ინსტიტუტებს პრობლემების გადაწყვეტაში.

გარდა ამისა, ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ ინიციატივებსა და პროექტებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

თვითმმართველობებთან მუშაობისას ჩვენი მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებელი მონიტორინგისა და კონსულტაციის პროცესის ერთობლიობაა. მონიტორინგის მეშვეობით იდენტიფიცირებული ადგილობრივი თვითმართველობის მუშაობის ძირითადი ხარვეზები და პრობლემები, მათი გასაჯაროება, ხელს უწყობს მათი მხრიდან არსებულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებასა და რეაგირებას. არსებული რეკომენდაციების მიწოდება, ტექნიკური დახმარება, რომელიც მოიაზრებს კონსულტაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან აქტიურ მუშაობას, წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის გაუმჯობესების მყარ საფუძველს.

2023 წელს პროგრამის ძირითადი საქმიანობები მიზნად ისახავდა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ჩარჩოების მონიტორინგის ორ ძირითად მიმართულებას: მუნიციპალიტეტების ეფექტურობის მონიტორინგს მათი

პასუხისმგებლობებისა და რესურსების გაფართოების თვალსაზრისით და ადგილობრივ დონეზე ევროკავშირი-საქართველოს დაკავშირებული ზოგიერთი რეფორმის განხორციელების მონიტორინგს.

მონაცემთა შეგროვების პროცესი მოიცავს, ერთის მხრივ, სამიზნე ადგილობრივი ხელისუფლებისგან საჯარო ინფორმაციის მოპოვებას და, მეორე მხრივ, კანონმდებლობით გათვალისწინებული გამჭვირვალობის ნორმებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

ანალიზი ჩატარდა წინა წლების ბიუჯეტის მონიტორინგის ქსელის მიერ შემუშავებულ სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ასახავს გამჭვირვალობის პროცედურებსა და მოქმედი კანონმდებლობის ვადებს.

პროგრამა კვლავ ფოკუსირებულია წინა პროგრამისთვის შემუშავებულ შემდეგ რვა კრიტერიუმზე:

- მუნიციპალიტეტში საჯარო მრჩეველთა საბჭოს არსებობა;
- მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ჩატარებული საჯარო განხილვების რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გასვლითი სხდომების ორგანიზება;
- წარმომადგენლობითი ორგანოს სხდომის შესახებ საზოგადოების ვადამდე ინფორმირება;
- წარმომადგენლობითი ორგანოს კომიტეტების სხდომის შესახებ საზოგადოების ვადამდე ინფორმირება;
- წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისა და თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულება;
- მუნიციპალიტეტის ვებ-პორტალზე მოწოდებული ინფორმაციის სარგებლიანობა;
- სამოქმედო გეგმის დამტკიცემაბდე საზოგადოების წინასწარი ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

პროგრამის ექსპერტებმა 2 სამიზნე რეგიონში (გურია და კახეთი), 5 სამიზნე მუნიციპალიტეტის (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, თელავი, ლაგოდეხი) ორგანოებიდან გამოითხოვეს შესაბამისი საჯარო ინფორმაცია. გამოთხოვილი მასალები ძირითადად შეეხებოდა: 2023 წლის პერიოდში ჩატარებული საკრებულოს სხდომებისა და საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სხდომების ოქმებს; ადმინისტრაციული წარმოების მასალებს; ინფორმაციას მოქალაქეებთან და ამომრჩევლებთან საკრებულოს წევრების შეხვედრების შესახებ, რომელიც გაიმართა 2023 წლის განმავლობაში; ინფორმაციას საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების შესახებ „საკრებულოს წევრის ფუნქციონირების ხარჯები“ ბიუჯეტის ხაზით იმავე პერიოდში და ა.შ. გარდა ამისა, პერიოდულად მოწმდებოდა საკრებულოს ვებგვერდებზე განთავსებული

ინფორმაცია და სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც შემდგომში იქნა გაანალიზებული.

არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით ექსპერტების მიერ 2023 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობისთვის შემუშავებული იყო 18 რეკომენდაცია ჯამურად ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის.

წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელების ეფექტური გზების მხარდასაჭერად და კონსულტაციებისა და საექსპერტო რჩევების გაცემის მიზნით ჩატარდა 7 ცალკეული სპეციალური საკონსულტაციო შეხვედრა სამიზნე რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

- ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდა/გაფართოება;
- საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებების შესრულება;
- ხელისუფლების გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერებისა ამაღლების სტრატეგიისა და თანმდევი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების გარანტიების შექმნა და განხორციელება;
- სოციალური მისიის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროცედურები და ამ საკითხზე ადგილობრივ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში კონკრეტული თანხების გამოყოფა;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

საანგარიშო პერიოდში სამიზნე მუნიციპალიტეტებმა მიიღეს / გაითვალისწინეს 12 წარმოდგენილი რეკომენდაცია. ამ რეკომენდაციების საფუძველზე საკრებულომ დაამტკიცა 16 მნიშვნელოვანი ტიპის დებულება/ნორმატიული აქტი.

პროგრამის ექსპერტები ასევე მუშაობდნენ მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიმართულებით, გამოვლენილი საჭიროებების (პრობლემების) მოგვარების ხელშეწყობის თაობაზე. ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმების განხორციელების 6 თვიანი მონიტორინგის ანგარიშები, სპეციალური რეკომენდაციებით, სამი სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის - ოზურგეთი, თელავი და ლაგოდეხი ფართოდ განიხილეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. მონიტორინგიგის დროს ყურადღება გამახვილდა 2018-2022 წლების მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაზე. აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილი 24 რეკომენდაციიდან 12 იქნა მიღებული. რეკომენდაციები, პირველ რიგში, ეხებოდა ნარჩენების მართვის გეგმაში ასახული მანდატების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების (EUGAA) ხელმოწერის დღიდან, CSRDG ხელს უწყობს საქართველოს რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალმხრივ ჩართულობას შეთანხმების დროული და სათანადო განხორციელების მონიტორინგსა და ადვოკატირებაში.

მიმართულების მიზნია, საზოგადოებამდე მიტანა იმისა, თუ კონკრეტულად რა ვალდებულებებს ითვალისწინებს ასოცირების შეთანხმება. ვინაიდან აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოებამ აკონტროლოს ასოცირების შეთანხმების შესრულების პროცესი და მოსთხოვოს ხელისუფლებას მისი სათანადო შესრულება, აუცილებელია მეტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვა ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციაში.

ძირითადი საქმიანობები :

- ექსპერტთა შეფასებების მომზადება ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ და მიღებული შედეგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ვიზუალიზაცია
- ტრენინგები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის ასოცირების შეთანხმების საკითხებზე;
- ღია წვდომა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ მოკლე განმარტებით ვიდეოებსა და შესაბამის შეკითხვებზე
- მცირე გრანტები (5,000-10,000 ევრო) ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე

ტრენინგები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის ასოცირების შეთანხმების საკითხებზე

საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერების და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობაში მათი მეტად ჩაბმის მიზნით ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში ვატარებთ სხვადასხვა თემატიკაზე ტრენინგებს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 2 ონლაინ ტრენინგი გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების და ენერგოეფექტურობის მიმართულებებით ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების სამოქალაქო მონიტორინგის მიდგომების თაობაზე (მონაწილეობა მიიღო ჯამში 34 ადამიანმა) .

ღია წვდომა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ მოკლე განმარტებით ვიდეოებსა და შესაბამის შეკითხვებზე

საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება 30-ზე მეტ დარგს მოიცავს. და ის საკმაოდ მოცულობითი და რთული, ტექნიკური დოკუმენტია. იმისათვის, რომ

საზოგადოებამ მარტივად გასაგებ ენაზე შეძლოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების ირგვლივ ინფორმაციის მიღება, ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში სხვადასხვა სფეროების ირგვლივ ვამზადებთ **მოკლე, სახალისო ვიდეოებს საზოგადოებისათვის.** ვიდეოებს ახლავს განმარტებითი მასალები და ცოდნის შესამოწმებელი კითხვები. ეწვიეთ გვერდს **ასოცირება-ჯი** (http://asocireba.ge).

2023 წლის განმავლობაში მომზადდა და asocireba.ge ვებ-გვერდზე განთავსდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების 7 განმარტებითი ანიმაცია:

- ენერგეტიკული გაერთიანება და საქართველო http://asocireba.ge/learn/?card=156
- საზოგადოების მონაწილეობა საჯარო მმართველობაში https://www.asocireba.ge/learn/?card=159
- დეცენტრალიზაცია https://www.asocireba.ge/learn/?card=163
- რა საჭიროა არასამთავრობო ორგანიზაცია? https://www.asocireba.ge/learn/?card=165
- კორუფციის პრევენცია საჯარო სამსახურში https://www.asocireba.ge/learn/?card=167
- საჯარო სამსახურის რეფორმა https://www.asocireba.ge/learn/?card=169
- რატომ არ შეიძლება "აგენტების კანონის" მიღება? https://www.asocireba.ge/learn/?card=171

მცირე გრანტები (5,000-10,000 ევრო) ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე

ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრაქტიკულად ჩაბმის მიზნით ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე ვაცხადებთ საგრანტო კონკურსებს.

2023 წლის განმავლობაში ჩატარდა 1 საგრანტო კონკურსი და გაიცა 13 მცირე გრანტი ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე. მათ შორის 5 შემთხვევაში საგრანტო კომისიის მიერ განაცხადი დასახვეწად გადაეცა CSRDG-ს "გრანტების ლაბორატორიას" და მხოლოდ არსებითი გაუმჯობესების შემდეგ დაფინანსდა.

ექსპერტთა შეფასებების მომზადება ასოცირების შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ და მიღებული შედეგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ვიზუალიზაცია

2021-2023 წლებში დაფინანსებული გრანტიორების მიერ მომზადდა და 2023 წელს asocireba.ge ვებ-გვერდზე განთავსდა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფასების 22 ანგარიში:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მონიტორინგის ანგარიში https://www.asocireba.ge/files/Tolerant_Aspindza_Waste_management.pdf
2. ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის მონიტორინგი იმერეთის თვითმმართველობების ორგანოებში https://www.asocireba.ge/files/GTUC_BF_Gender_Equality_Imereti_Authorities.pdf
3. ნარჩენების მართვის მონიტორინგი გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში https://www.asocireba.ge/files/WD_Waste_Management_Gori_Qareli.pdf
4. ყველისა და ნედლი ხორცის ბიზნესოპერატორების კვლევა იმერეთის რეგიონში https://www.asocireba.ge/files/BSC_Cheese_Beef_Businessoperators_Research_Imereti.pdf და ყველისა და ნედლი ხორცის მომხმარებლების კვლევა იმერეთის რეგიონში https://www.asocireba.ge/files/BSC_Cheese_Beef_Consumers_Research_Imereti.pdf
5. ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების შეფასება https://www.asocireba.ge/files/CCG_Femina_9th_Recommendation_assessment.pdf
6. ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესის მედია-გაშუქების მონიტორინგის ანგარიში https://www.asocireba.ge/files/DVA_Media_Monitoring_Report.pdf და საქართველო, უკრაინა და მოლდოვა - ქვეყნების პოლიტიკა ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად https://www.asocireba.ge/files/DVA_3_countries_comparative_report.pdf
7. პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგი საპარლამენტო კონტროლის, არჩევნებისა და მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებით https://www.asocireba.ge/files/GYLA_Parliament_monitoring_reportc.pdf
8. სამეგრელოს რეგიონში სურსათის ეტიკეტირების/წარდგენისა და ვარგისიანობის ვადების მოთხოვნების დაცვის მონიტორინგის ანგარიში https://www.asocireba.ge/files/SamegrelosXma_Food_Labelling_Monitoring_Report.pdf
9. პოლიტიკური პოლარიზაციის ანალიზი სოციალური მედიის საშუალებით - LLM მოდელების გამოყენება https://www.asocireba.ge/files/Mettamine_Polarization_LLM_12_discourses.pdf
10. რეგიონული სტატისტიკის წარმოების ევროპული სისტემის ანალიზი https://www.asocireba.ge/files/AYEG_Regional_Statistics_in_Europe.pdf და რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ქართული პრაქტიკის ანალიზი https://www.asocireba.ge/files/AYEG_Georgian_System_of_Regional_Statistics.pdf
11. ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ვალდებულებები და მათი აღსრულების შეფასება აბაშის, მარტვილის და ხონის მუნიციპალიტეტებში https://www.asocireba.ge/files/Green_Region_Energy_Efficiency_Imereti.pdf
12. ნარჩენების მართვის მონიტორინგი დუშეთის მუნიციპალიტეტში https://www.asocireba.ge/files/NCVP-WHF-Waste_Management_Dusheti.pdf და

ნარჩენების მართვის მონიტორინგი თიანეთის მუნიციპალიტეტში https://www.asocireba.ge/files/NCVP-WHF-Waste_Management_Tianeti.pdf

13. ნარჩენების მართვის გეგმის მონიტორინგი ადიგენის მუნიციპალიტეტში https://www.asocireba.ge/files/Tolerant_Adigeni_Waste_management_Monitoring.pdf
14. საქართველოში აკვაკულტურის საჭიროებების კვლევა და რეკომენდაციები სფეროს განვითარებისთვის https://www.asocireba.ge/files/Green_Sector_Aquaculture.pdf
15. ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური განყოფილებების მონიტორინგი თელავში, ყვარელში, ახმეტასა და გურჯაანში https://www.asocireba.ge/files/Kakheti_Child_Protection_Municipal_Services.pdf
16. ევროკომისიის რამდენიმე რეკომენდაციის შესრულების შეფასება https://www.asocireba.ge/files/DSRC_Recommendations_1_4_5_10.pdf
17. ევროკავშირის მე-4 რეკომენდაციის (ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერება) შესრულების მონიტორინგი https://www.asocireba.ge/files/GeoDP_anticorruption_recommendation.pdf
18. ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადზე ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების შეფასება https://www.asocireba.ge/files/LAT_12_Recommendations_implementation_assessment_geo.pdf
19. ნარჩენების მართვის მონიტორინგი დუშეთის მუნიციპალიტეტში https://www.asocireba.ge/files/YRAU_Waste_Management_Dushetic.pdf
20. გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა: 6 საქმის ანალიზი https://www.asocireba.ge/files/GYLA-Imereti_Environmental_Justice.pdf
21. იმერეთის რეგიონში რეალიზებადი ბოსტნეულისა და ხილის ქიმიური შედგენილობის კვლევა სურსათის უვნებლობის მაჩვენებლებზე https://www.asocireba.ge/files/BSC-Kutaisi-vegetable-chemical-testing.pdf
22. რამოდენიმე კატეგორიის სურსათის ეტიკეტირების მონიტორინგი https://www.asocireba.ge/files/TDIG-Food-Labelling.pdf

კონტაქტი:

მისამართი:	**მისამართი: თბილისი 0177, ჯებაშვილის I გასასვლელი N.5 (ყოფილი დელისის I შესახვევი, 5ა)**
ტელეფონი:	**(995 32) 2 39 90 19**
E-mail:	**office@csrdg.ge**
ვებგვერდი:	**www.csrdg.ge**